

გიორგი არქანია

ისტორიის სადოქტორო პროგრამა
მონვეული ლექტორი, თსუ
„უახლესი ისტორიის ცენტრის“ მკვლევარი
კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
Giorgi.arkania@tsu.ge

ტოპონიმების განსაზღვრა საქართველოში (1987-1991 წწ.)¹

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმები, განსაზღვრა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, „გარდაქმნა“, „საჯაროობა“

Keywords: toponyms, de-Sovietization, national liberation movement, perestroika, glasnost

1980-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში „გარდაქმნის“ სახელით ცნობილი პროცესი დაიწყო. პარტიული ხელისუფლების სათავეში მიხაილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ ინიცირებული რეფორმები მიზნად ისახავდა მძიმე კრიზისის წინაშე მდგარი იმპერიის განახლებასა და მისი არსებობის გახანგრძლივებას. სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციას თან ახლდა პოლიტიკური და კულტურული ლიბერალიზაცია და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობების ნორმალიზება. მრავალი საკითხი გადაიხედა და გადაფასდა. იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები. მმართველი კომუნისტური პარტია საწყის ეტაპზე პროცესების კონტროლსა და ინიციატივათა „ზემოდან“ შეთავაზებას ახერხებდა, მაგრამ თანდათან იძულებული გახდა, „ქვემოდან“ გააქტიურებული პროცესებისთვის ანგარიში გაეწია, რათა ვითარებაზე კონტროლი სრულად არ დაეკარგა. ცვლილებათა ეს პროცესი კარგად ჩანს წინამდებარე კვლევაში – თუ როგორ იცვლებოდა ტოპონიმები „გარდაქმნის“ პერიოდის საბჭოთა კავშირში და რა ფორმით აისახა ეს პროცესი საქართველოზე.

ისეთი ტოტალიტარული სისტემისთვის, როგორსაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, აუცილებელი იყო ყველა სივრცის კონტროლი, მათ შორის, ტოპონიმების „დამორჩილება“. ამ სისტემისთვის ტოპონიმებს ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან სახელდება წარმოადგენდა კარგ საშუალებას საზოგადოებაში ამ სისტემის სიმბოლოების მყარად დამკვიდრებისათვის. საბჭოთა კავშირში და შესაბამისად – მის შემადგენლობაში ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის გზით აღმოჩენილ

¹ კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით – „საისტორიო აზროვნების ტრანსფორმაცია: საბჭოთა საქართველოდან დამოუკიდებელ საქართველომდე (1987-1991)“ [FR-24-19560].

საქართველოში, გეოგრაფიული ობიექტების სახელდება იდეოლოგიური კონტროლის მექანიზმს წარმოადგენდა. საკვლევი თემა აქტუალურია, რადგან ტოპონიმები ნათლად ასახავენ კოლექტიური მეხსიერების, იდენტობისა და ძალაუფლების გამოვლინებას. ისინი ამ ყველაფრის ერთგვარი ინსტრუმენტები არიან. მათი ცვლილება კი სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მიმდინარე ძირეულ ტრანსფორმაციას ასახავს.

თეორიული პერსპექტივიდან ტოპონიმიკური პოლიტიკისა და განსაზღვრების ანალიზი ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ მეცნიერულ ტრადიციას, რომლებიც სივრცეს, სახელდებასა და მეხსიერებას განიხილავს როგორც ძალაუფლებისა და იდენტობის კონსტრუირების მექანიზმებს. კოლექტიური მეხსიერების თეორიის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად უდევს მორის ჰალბვაქსის მიდგომა, წარსულის აღქმა და ინტერპრეტაცია სოციალური ჩარჩოებით არის განსაზღვრული, ხოლო სივრცე და სახელდებული გარემო მეხსიერების სტაბილიზაციის მნიშვნელოვან მექანიზმად გვევლინება (Halbwachs 1992). ამ პერსპექტივას ავითარებს პიერ ნორა, რომლის მიხედვითაც ტოპონიმები შეიძლება განვიხილოთ როგორც „მეხსიერების ადგილები“, სადაც კონცენტრირდება ისტორიული ნარატივები, იდენტობის სიმბოლოები და პოლიტიკური მნიშვნელობები (Nora 1989: 7-24). ტოპონიმების ძალაუფლებრივ და იდეოლოგიურ ფუნქციას განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მაოზ აზარიასკუ, რომელიც სახელდებისა და გადარქმევის პროცესებს განმარტავს როგორც სიმბოლური დომინაციისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის ინსტრუმენტებს (Azaryahu 1996: 311-330). აღნიშნული თეორიული ხედვები შესაძლებლობას იძლევა, ტოპონიმების განსაზღვრება გავიაზროთ არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ ცვლილებად, არამედ კოლექტიური მეხსიერების, იდენტობისა და პოლიტიკური ძალაუფლების ურთიერთქმედების შედეგად.

კვლევის მთავარი მიზანია, გავიგოთ, თუ როგორ დაიწყო ტოპონიმების ცვლილება საბჭოთა კავშირსა და საქართველოში, როგორ მიმდინარეობდა და ვინ ხელმძღვანელობდა ამ პროცესს, რამდენად გააზრებულად წარიმართა იგი, როგორი იყო მოსახლეობის რეაქცია, რატომ დაიწყო ეს პროცესი ჯერ კიდევ საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ვინ ასრულებდა ძირითად როლს ამ პროცესში.

კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო 1987 წლიდან, ანუ „გარდაქმნის“ აქტიური ფაზის დასაწყისიდან იწყება და სრულდება 1991 წელს, როდესაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. რა თქმა უნდა, ნაშრომში მიმოხილულია საკვლევი თემის წინაპირობებიც.

კვლევა სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს, რადგან საკვლევი თემა დღემდე საქართველოში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არ ყოფილა და იგი აღნიშნულ დანაკლისს მნიშვნელოვნად შეავსებს. ამავე დროს, საკვლევი თემის აქტუალობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტიც, რომ 1980-იან წლებში ტოპონიმიკის სფეროში დაწყებული ტრანსფორმაცია საქართვე-

ლოში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. საბჭოთა ტოტალიტარიზმთან დაკავშირებული ტოპონიმები დღემდე არსებობს, მაგალითად: სოფელი შაუმიანი² (მარნეულის მუნიციპალიტეტში), სოფელი ჟდანოვი³ (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში), იოსებ სტალინის ქუჩა (ქ. გორში), ლავრენტი ბერიას ქუჩა (ქ. ზუგდიდში) და სხვა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ტერმინ „განსაბჭოებაში“ ვგულისხმობთ საერთაშორისოდ კარგად ცნობილ ცნებას – „დესოვიეტიზაციას“, რომელიც ნიშნავს საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისგან გათავისუფლებას.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეცვლილი პოლიტიკური რეალობა დასახლებული პუნქტების სახელწოდებებზეც აისახა. ქალაქებს, დაბებს, სოფლებს, ქუჩებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისა და კომუნისტური იდეოლოგიისთვის მისაღები და დასაშვები სახელები ეწოდა. მრავალი ისტორიული ტოპონიმი ოფიციალური გამოყენებიდან გაქრა და მხოლოდ ხალხის მეხსიერებაში შემორჩა.

შეიქმნა „ტოპონიმიკური კულტები“, რომლებიც საბჭოთა პარტიულ ლიდერებს აღაზრებდნენ. ჯერ კიდევ 1918 წელს ვლადიმირ ლენინის სახელი („ლენინსკი“) ეწოდა ტვერის გუბერნიის ქალაქ ტალდომს, 1919 წელს „ლენინსკი“ აგრეთვე ეწოდა ცარიცინის გუბერნიის სოფელ პრიშიბს, ხოლო 1922 წელს ტომსკის გუბერნიის სოფელ კოლჩუგინოს (Демьянов, Рыженко 2017: 155). 1918 წლის დეკემბერში სამარის გუბერნიის დასახლება ივაშენკოვოს ეწოდა „ტროცკი“ (დასახლებამ ქალაქის სტატუსი 1927 წელს მიიღო). 1922 წელს გაჩინასაც ზუსტად იგივე სახელი დაერქვა. თუმცა ეს პროცესი 1924 წლამდე სისტემური და მასშტაბური არ ყოფილა.

1924 წლიდან ნამდვილი „ტოპონიმიკური რევოლუცია“ დაიწყო. ლენინის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში, 26 იანვარს საბჭოთა კავშირის საბჭოების მეორე საერთო-საკავშირო ყრილობამ ქალაქ პეტროგრადს „ლენინგრადი“ უწოდა. ამავე წელს 6 დიდ ქალაქს საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო ლიდერების სახელები ეწოდა, მათ შორის: სიმბირსკს – „ულიანოვსკი“, იუზოვკას (დღევანდელი დონეცკი) – „სტალინი“, ეკატერინბურგს – „სვერდლოვსკი“, ელისავეტგრადს – „ზინოვიევსკი“ (Демьянов, Рыженко 2017: 155-156).

² სტეფან შაუმიანი (1878-1918) – ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ვლადიმირ ლენინის ხელისუფლებამ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნა. 1918 წელს 26 ბაქოელ კომისართან ერთად დახვრიტეს.

³ ანდრეი ჟდანოვი (1896-1948) – კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი. სოფელ ჟდანოვს 1939 წლამდე „ეჟოვკანი“ ერქვა 1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ ერთ-ერთი მთავარი შემოქმედის, ნიკოლაი ეჟოვის პატივსაცემად. 1939 წელს ეს უკანასკნელი დააპატიმრეს, შესაბამისად – სოფელსაც სახელი შეუცვალეს.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ლიდერი იოსებ სტალინი გახდა, მისი სახელი მრავალ დასახლებულ პუნქტს უწოდეს (ქ. ცარიცინი – „სტალინგრადი“ (1925 წ.), დუშანბე – „სტალინაბადი“⁴ (1929 წ.), ქ. ნოვო-კუზნეცკი – „სტალინსკი“ (1932 წ.), ქ. ბობრიკი – „სტალინოგორსკი“ (1934) და სხვა).

1934 წლიდან საბჭოთა კავშირში „კიროვის კულტის“, როგორც პარტიისა და სახელმწიფოსთვის შეწირული გმირის სახე-ხატის დამკვიდრება დაიწყო, რაც ტოპონიმიკურ პოლიტიკაზეც აისახა. სერგეი კიროვის სახელი ეწოდა: კუნძულებს კარის ზღვაში, მხარეებს, რაიონებს, ქალაქებს, სოფლებს, ქუჩებს, სასწავლო დაწესებულებებს, სამრეწველო ობიექტებსა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით მრავალი დასახლებული პუნქტი ატარებდა სერგო ორჯონიკიძის სახელსაც. მაგალითად, 1931 წელს ქალაქ ვლადიკავკაზს „ორჯონიკიძე“ ეწოდა. მისი სახელის მატარებელი ქალაქები, სოფლები, ქუჩები იყო რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში და სხვა.

ასეთი ტოპონიმიკური პოლიტიკა ხშირად უხერხულ და კურიოზულ ვითარებას ქმნიდა. რადგანაც ერთი და იგივე პიროვნების სახელის მქონე რამდენიმე დასახლებული პუნქტი არსებობდა, გაუგებრობა ჩნდებოდა ტრანსპორტისა და საფოსტო სფეროებში.

საქართველოში ტოპონიმების გასაბჭოება ძირითადად 1920-30-იან წლებში განხორციელდა. კატერინენფელდი (თანამედროვე ბოლნისი) ეწოდა „ლუქსემბურგი“⁵ (1921), ცარსკიე კოლოდცის (თანამედროვე დედოფლისწყარო) – „წითელი წყარო“ (1926), შულავერს – „შაუმანი“ (1925), ხაშურს – „სტალინისი“ (1931), ხარაგაულის რაიონს – „ორჯონიკიძის რაიონი“ (1932), ცხინვალს – „სტალინირი“ (1934), ოზურგეთს – „მახარაძე“ (1934), ამბროლაურს – „ენუქიძე“⁶ (1934), ახალგორს – „ლენინგორი“ (1935), სენაკს – „მიხა ცხაკაია“ (1935), მარტვილს – „გეგეჭკორი“⁷ (1936), ხონს – „წულუკიძე“⁸ (1936), ბაღდათს

⁴ დუშანბეს გარდა, საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკიდან კიდევ ერთის დედაქალაქი ატარებდა პარტიული ლიდერის სახელს – 1926-1991 წლებში ყირგიზეთის დედაქალაქს „ფრუნზე“ ეწოდებოდა (თანამედროვე ბიშკეკი).

⁵ სახელი ეწოდა ცნობილი კომუნისტის, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, როზა ლუქსემბურგის პატივსაცემად.

⁶ აბელ ენუქიძე (1877-1937) – ცნობილი ბოლშევიკი, 1922-1935 წლებში საბჭოთა კავშირის ცაკ-ის მდივანი.

⁷ ალექსი (საშა) გეგეჭკორი (1887-1928) – ცნობილი ბოლშევიკი, აქტიურად საქმიანობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ გეგეჭკორი იყო საქართველოს რევკომის წევრი, თბილისის რევკომის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (1922-1924), სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი. დიდი როლი შეასრულა სამეგრელოს ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში. 1928 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

⁸ ალექსანდრე (საშა) წულუკიძე (1876-1905) – ქართველი ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. 1905 წელს დააპატიმრეს. იმავე წელს ციხეში ტუბერკულოზით გარდაიცვალა.

- „მაიაკოვსკი“ (1940), როზენბერგს (თანამედროვე დაბა თრიალეთი) - „მოლოტოვო“ (1941), დაბა ხარაგაულს - „ორჯონიკიძე“ (1949). მოხდა მრავალი სოფლის, ქუჩის, მოედნის, კოლმეურნეობისა და დაწესებულების სახელწოდებათა გასაბჭოება. კომუნისტური პარტიის მოღვაწეების გარდა, ტოპონიმიკაში დამკვიდრდა ზოგადად სოციალიზმთან, კომუნიზმთან, საბჭოთა სისტემასთან დაკავშირებული სახელები: „კოლმეურნეობა“ - საბჭოთა კავშირში არსებული კოლექტიური მეურნეობების პატივსაცემად, „წითელარმიელი“ - საბჭოთა არმიის პატივსაცემად, „პირველი მაისი“ - მშრომელთა საერთაშორისო დღის პატივსაცემად, „ოქტომბერი“ - „დიდი ოქტომბრის რევოლუციის“ პატივსაცემად, „გამარჯვება“, „განახლება“, „შრომა“ და ა. შ.

პროცესი აისახა მიკრო დონეზეც - განხორციელდა ქუჩების, მოედნებისა და მიკროტოპონიმების გასაბჭოება. მაგალითად, თბილისის ცენტრალურ მოედანს (თავისუფლების მოედანი) ეწოდა ჯერ „ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანი“, შემდეგ - „ბერიას მოედანი“, შემდეგ კი „ლენინის მოედანი“. მოედანზე ლენინის ძეგლი დაიდგა. გაჩნდა ბოლშევიკი ლიდერების, ცნობილი კომუნისტების, რუსეთის სამოქალაქო ომის გმირების, კომუნიზმთან დაკავშირებული სახელების მქონე რაიონები, ქუჩები, მოედნები.

როგორც ტოტალიტარული სისტემისთვის დამახასიათებელია, საბჭოთა კავშირში ჩვენ მიერ დასახელებული ტოპონიმების ცვლილება საბჭოთა ეპოქაშივე ხდებოდა მმართველ პარტიაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად. ახლადშობილი ტოპონიმები ხდებოდა „Damnatio memoriae“-ს⁹ გამოცდილი მეთოდის მსხვერპლი. მაგალითად, პარტიულ დაპირისპირებაში ლევ ტროცკის დამარცხებისა და საბჭოთა კავშირიდან გაძევების შემდეგ, 1929 წელს ქ. ტროცკის (ყოფილ გატჩინას) „კრასნოგვარდეისკი“ (ქართ. წითელგვარდიელი) ეწოდა, აგრეთვე მეორე ქალაქ ტროცკის (ყოფილი ივაშენკოვო) - „ჩაპაევსკი“. იმავე მიზეზით ქ. ზინოვიევსკს 1934 წელს „კიროვო“ შეარქვეს, თავად გრიგორი ზინოვიევი 1934 წელს დააპატიმრეს და ორი წლის შემდეგ დახვრიტეს, 1937 წელს კალუგის ოლქის ბუხარინის რაიონს „ძერჟინსკის რაიონი“ ეწოდა, რამდენიმე დღით ადრე ნიკოლაი ბუხარინი დააპატიმრეს, მომდევნო წელს კი დახვრიტეს. სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლა აბელ ენუქიძეც, რომელიც 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს, შესაბამისად - ქ. ენუქიძესა და ენუქიძის რაიონს დაუბრუნდა ძველი სახელი - „ამბროლაური“.

მსგავსი ტოპონიმიკური „კორექციის“ მორიგი ტალღა 1953 წელს იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო. პარტიის ხელმძღვანელობაში დაწყებულ დაპირისპირებას ლავრენტი ბერია ემსხვერპლა. ყველა დასახლე-

⁹ მეხსიერებიდან წაშლის რომაული მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავდა ცნობილი პიროვნების გაქრობას ისტორიიდან. გაქრობისთვის განწირული ადამიანის სახელი წერილობით წყაროებში უნდა წაშლილიყო, ქანდაკებები განადგურებულიყო და ა. შ.

ბულ პუნქტს თუ დაწესებულებას, რომელიც მის სახელს ატარებდა, 1953 წელსვე სახელი გადაერქვა. თბილისის ცენტრალურ მოედანს „ლენინის მოედანი“ ეწოდა, ბერიას რაიონს – კალინინის რაიონი, ბერიას რაიონს სომხეთის სსრ-ში – შაუმიანის რაიონი და ა. შ.

1956 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ სტალინის კულტის დაგმობამ ტოპონიმების ცვლილება „დესტალინიზაციის“ ფერხულში ჩააბა. 1961 წელს სტალინგრადს ეწოდა „ვოლგოგრადი“, სტალინაბადს – „დუშანბე“, სტალინოს – „დონეცკი“, სტალინსკს – „ნოვოკუზნეცკი“, სტალინოგორსკს – „ნოვომოსკოვსკი“, სტალინირს – „ცხინვალი“. მოხდა სტალინის ძეგლების დემონტაჟი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელწოდებიდან სტალინის სახელი ამოიღეს.

იგივე ბედი ეწიათ ხრუშჩოვის მიერ ჩამოშორებულ სხვა ლიდერებსაც, მაგალითად 1957 წელს მის წინააღმდეგ მოქმედი „ანტიპარტიული ჯგუფის“ წევრები – ვიაჩესლავ მოლოტოვი და ლაზარ კაგანოვიჩი თანამდებობებს ჩამოაშორეს, მათი სახელები კი ტოპონიმიკიდან გააქრეს (მაგალითად, დაბა მოლოტოვოს „თრიალეთი“ ეწოდა).

„ანტიპარტიული ჯგუფის“ დამარცხებიდან რამდენიმე თვეში, 1957 წლის 11 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც დასახლებული პუნქტებისთვის, კოლმეურნეობებისთვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის ცოცხალი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელი მინიჭება აიკრძალა. ბრძანებულების ტექსტში ეწერა, რომ ამ მიმართულებით დაშვებული იყო შეცდომები, დარღვეული იყო პარტიული მოკრძალებულობის „ლენინური ტრადიცია“ და ხაზს უსვამდა აშკარა სიცრუეს, თითქოს ლენინის სიცოცხლეში არცერთი დასახლებული პუნქტისთვის მისი სახელი არ მიუნიჭებიათ. დოკუმენტში გარიტიკებული იყო „პიროვნების კულტის“ პერიოდის ტოპონიმიკური პოლიტიკა, როგორც ცალკეული პიროვნებების განდიდებისა და პარტიის როლის შემცირების პროცესი. ბრძანებულების მიხედვით, შეწყდა დასახლებული პუნქტებისთვის ცოცხალი ადამიანების სახელის მინიჭება და მიზანშეწონილად გამოცხადდა ასეთებისთვის სახელის გადარქმევა (Указ... 1957: 1).

ბრძანებულების შესრულება მალევე დაიწყო, მაგალითად – 1958 წელს ქ. ვოროშილოვგრადს დაუბრუნდა სახელი „ლუგანსკი“. ბრძანებულების დაცვის მაგალითი თავად ხრუშჩოვმა 1962 წელს აჩვენა – ერთი წლის წინ უკრაინაში წარმოქმნილ ახალ ქალაქს ადგილობრივებმა მისი სახელი უწოდეს, მან კი ამ გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. ქალაქს სხვა სახელი დაარქვეს.

აღსანიშნავია, რომ ხრუშჩოვისეული „დათბობის“ პერიოდში მხოლოდ იმჟამად ცოცხალი ადამიანების სახელების მქონე დასახლებულ პუნქტებს

არ შეცვლიათ სახელი. 1957 წელს ქ. ჩკალოვს¹⁰ დაუბრუნდა ისტორიული სახელი – „ორენბურგი“, ქ. შერბაკოვს¹¹ – „რიბინსკი“, ქ. ოსიპოვს¹² – „ბერდიანსკი“ და ა.შ. ვალერი ჩკალოვი, ალექსანდრ შერბაკოვი და პოლინა ოსიპენკოც დიდი ხნის გარდაცვლილები იყვნენ. აშკარა იყო, რომ ტოპონიმიკურ პოლიტიკაში შესამჩნევი ცვლილებები იწყებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1964 წელს ხრუშჩოვი შიდაპარტიული გადატრიალების შედეგად დაამხეს და ბრეჟნევის „უძრაობის“ ხანა დაიწყო, „დათბობის“ ინერცია მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც შესამჩნევი იყო. ერთი ეპოქიდან თვისებრივად განსხვავებულ ხანაში გადასვლის ნათელი მანიშნებელი იყო ის ამბავი, რაც მოჰყვა 1966 წლის 4 იანვარს ცენტრალური არხის პირველი პროგრამით გასულ გადაცემას „ლიტერატურულ ვტორნიკი“. პირდაპირ ეთერში მონაწილე ცნობილმა მეცნიერებმა, მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა (დმიტრი ლიხაჩოვი, ვიჩესლავ ივანოვი, ლეონარდ ემელიანოვი, ოლეგ ვოლკოვი, ლევ უსპენსკი და სხვები) ისაუბრეს რუსულ ენაზე, მათ შორის ისტორიული ტოპონიმების დაცვის აუცილებლობაზე იმგვარად, რომ საუბრის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა პარტიის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის ოფიციალურ ხაზს. გადაცემამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. რამდენიმე დღეში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიომუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა გადაცემა ოფიციალურად დაგმო და მას „იდეოლოგიურად დამაბრკოლებელი“ უწოდა. კომიტეტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა ლენინგრადის ტელესტუდიის დირექტორი და ტელესტუდიას დაავალა, მოემზადებინა სპეციალური გადაცემა, რომელიც მაყურებლებს მოუთხრობდა გასულ გადაცემაში დაშვებულ „შეცდომებს“ და საკითხის განხილვას მისცემდა „მართებულ“, მარქსისტულ-ლენინურ მიმართულებას (Мы все обнаружили... 2018).

ზემოთ მოცემული შემთხვევა ცხადყოფდა, რომ ბრეჟნევის პერიოდში საბჭოთა ცენზურა და ტოპონიმიკური პოლიტიკა „ჩვეულ კალაპოტს“ დაუბრუნდა (მაგალითად, ლუგანსკს 1970 წელს კვლავ „ვოროშილოვგრადი“ ეწოდა, თუმცა 1957 წლის კანონი დარღვეული არ ყოფილა – ეს მოხდა წინა წელს ვოროშილოვის გარდაცვალების შემდეგ). 1980-იანი წლების პირველ ნახევარში ქალაქებს კვლავ არქმევდნენ ცნობილი პარტიული ლიდერების სახელს: 1982 წელს ქ. ნაბერეჟნიე ჩელნის უწოდეს „ბრეჟნევი“, 1984 წელს

¹⁰ ვალერი ჩკალოვი (1904-1938) – საბჭოთა მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, რომელიც 1938 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. იმავე წელს ქ. ორენბურგს მისი სახელი უწოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ის იქ ერთხელაც არ ყოფილა.

¹¹ ალექსანდრ შერბაკოვი (1901-1945) – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი.

¹² ბერდიანს 1939 წელს უწოდეს ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი ქალი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის, პოლინა ოსიპენკოს სახელი.

უკვე ნახსენებ რიბინსკს - „ანდროპოვი“, იჟევსკს - „უსტინოვი“¹³, 1985 წელს შერიპოვოს - „ჩერნენკო“.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მიხაილ გორბაჩოვის მოსვლისა და „გარდაქმნის“ დაწყების შემდეგ. საბჭოთა იმპერიაში მომხდარი ცვლილებები მრავალ სფეროს შეეხო, მათ შორის ტოპონიმიკასაც. ცენზურის შერბილებასთან ერთად საზოგადოებრივი აზრი უფრო თვალსაჩინო გახდა. პრესაში დაიწყო საბჭოთა ტოპონიმიკური პოლიტიკის ჯერ რბილი, ხოლო თანდათან უფრო მკვეთრი კრიტიკა.

1985 წლის 4 ივნისს ჟურნალისტმა ალექსანდრ ვასინსკიმ რუბრიკაში „საჯაროდ საჯაროობის შესახებ“ გამოაქვეყნა სტატია „არმატურნაია, ჩუგუევსკაია და სხვა“. ავტორი აცხადებს, რომ გამოხატავს მკითხველთა აზრს და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ მოსკოვში „პოსადსკაიას“ ქუჩას სახელი შეუცვალეს და „არმატურნაია“ უწოდეს, ხოლო მინინისა და პოჟარსკის ქუჩებს - „ჩუგუევსკაია“ და „ჩუგუევსკაია - მე-2“. ავტორის აზრით, დასახლებული პუნქტების სახელები მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის საფოსტო მისამართს არ წარმოადგენს, არამედ არის ისტორიის ენა, რომლითაც წარსული ლაპარაკობს. ავტორი კიდევ ერთ მხარეს გამოყოფს - სახელის შეცვლა ძირითადად ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დაუკითხავად, რაც დაუშვებელი იყო, რადგან სახელი შეეცვალა არა მხოლოდ დასახლებულ პუნქტებს, არამედ მათ მაცხოვრებლებსაც. იგი ხაზს უსვამს, რომ ასეთი და ზოგადად, ყველა სახის თვითნებობის წინააღმდეგ არსებობს გამოცდილი საშუალება - „საჯაროობა“. მისი თქმით, დაუშვებელია ისტორიულ ტოპონიმებზე უარის თქმა, მათი ჩანაცვლება ახლით, რადგან ამით მეხსიერება ღარიბდება, და ამაში მთავარ დამნაშავეებად ასახელებს იმათ, ვინც ეს გააკეთა და იმათაც, ვინც ეს დაუშვა - ანუ საზოგადოებას. ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პიროვნებებისთვის პატივის მიცემა ძველი ტოპონიმების მსხვერპლშენივით არ უნდა მოხდეს და მათი სახელები უნდა დაერქვას მხოლოდ ახალ დასახლებებს (Васинский 1985a: 6).

1985 წლის 13 ივლისს „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ვასინსკის სტატიამ მკითხველთა დიდი ყურადღება გამოიწვია. გაზეთის რედაქციაში შევიდა ბევრი წერილობითი გამოხმაურება და მათი ნაწილი გამოაქვეყნა სათაურით „ისტორიის ხსოვნა“. მწერალმა გლეხ გორბოვსკიმ ვასინსკის სტატიას მწარე, საღი და ნანატრი უწოდა. ის პირდაპირ მოუწოდებდა ქუჩებისა და ქალაქებისთვის მკვდრადშობილი სახელების გადარქმევასა და მათთვის უწინდელი სახელწოდებების დაბრუნებისაკენ. უკრაინის სსრ სახელმწიფო დაგეგმარების კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის რესპუბლიკური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ალექსანდრ სიდოროვი კიევიდან იწერებოდა, რომ მართალია, დასახლებული ობიექტე-

¹³ დმიტრი უსტინოვი (1908-1984) - კპ ცკ-ის პოლიტიბუროს წევრი და თავდაცვის მინისტრი (1976-1984).

ბის სახელთა შეცვლამ თავისებური ეპიდემიის ხასიათი მიიღო, მაგრამ ეს პროცესი შეუქცევადი არ იყო, „საჯაროობა“ თავის ნაყოფს გამოიღებდა, თუკი საზოგადოება აქტიურად დაიცავდა მშობლიური კულტურის ტრადიციებს, რადგან მეხსიერების მოჭრით, ფესვების მოჭრა ხდებოდა. ავტორი მხარს უჭერდა „გამარჯვებული სოციალიზმის“ ეპოქასთან დაკავშირებული სახელების დარქმევას მხოლოდ ახალი დასახლებული ადგილებისთვის. მინსკიდან მოქალაქეები გულისწყრომით წერდნენ, რომ მალე ქუჩებისა და მოედნების ძველი სახელწოდებების „ნითელ წიგნში“ შეტანა გახდებოდა საჭირო. გამოხმაურებებს შორის იყო ზემოთ მოცემული აზრების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაც, მაგრამ მათი რაოდენობა მცირე იყო (Память Истории... 1985: 3).

1985 წლის 10 აგვისტოს ვასინსკიმ გამოაქვეყნა მორიგი სტატია, რომელშიც გააგრძელა წინამორბედის სულისკვეთება და კვლავ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო დაშვებული შეცდომების გამოსწორება. სტატიაში მაგალითებად ბოგდან ხმელნიცკისა და ლევ ტოლსტოის მოყვანა ცხადყოფს იმას, რომ თანდათან მზადდებოდა ნამდვილი ადრესატების დასახელების დროც – პარტიული ფუნქციონერებისა (პრინციპით – თუ ტოლსტოის შევბედეთ, რატომ ვერ შევბედავთ, მაგალითად, კალინინს), რომელთაც ზემოთ დასახელებულ სტატიასა და გამოხმაურებებში არ შეხებიან. ავტორის გაოგნებას იწვევს თანადროული ტოპონიმის ერთფეროვნება, როდესაც ერთი და იგივე სახელი რამდენიმე დასახლებულ პუნქტს სხვადასხვა ვარიაციით ეწოდებოდა. ავტორი წერს, რომ სახელების სფეროში ბევრი რამის „ახლებურად გააზრება“ აუცილებელი, რითაც ავტორი ფაქტობრივად აჟღერებს გორბაჩოვის პერიოდისთვის დამახასიათებელ მიდგომას და თითქოს ნიადაგს ამზადებს მასშტაბური პროცესისათვის. ავტორს ძველი ტოპონიმები სამშობლოს ისტორიული ფასეულობების რანგში აჰყავს, მათ დაცვას კი „ჭეშმარიტ პატრიოტიზმს“ უწოდებს. სტატიაში ხაზი ესმევა მეხსიერების გაქრობის საშიშროებას. ტექსტიდან ირკვევა რომ ტოპონიმების მიმართულებით საქმე უკვე დაწყებული იყო და მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობდნენ წინადადებებზე ქუჩათა იდენტური და დანომრილი სახელების შეცვლის, ისტორიული სახელწოდებების აღდგენის შესახებ (Васинский 1985ბ: 3).

1986 წლის 1 იანვარს ვასინსკიმ გამოაქვეყნა ინტერვიუ ცნობილ მსახიობთან ოლეგ ბასილაშვილთან. როგორც ტექსტიდან ჩანს, ბასილაშვილი გამოეხმაურა ვასინსკის წერილების სერიას და ლენინგრადიდან მხარდამჭერი ვრცელი წერილი „იზვესტიას“ რედაქციას გაუგზავნა. ბასილაშვილმა ტოპონიმოლოგიურ პოლიტიკას შეუფერებელი და მიუღებელი უწოდა. მისი აზრით, არასაჭირო სახელებსა წინ „საჯაროობა“ უნდა აღდგომოდა (Олег Басилавский... 1986: 3).

1986 წლის 18 აპრილს ვასინსკიმ გამოაქვეყნა მორიგი სტატია „პოსადსკაია არმატურნაიას წინააღმდეგ“. ტოპონიმების საკითხი ერთი წლის განმავლობაში რომ უფრო აქტუალური გახდა, ამას ისიც მოწმობს, რომ თუ ვასინსკის პირველი სტატია გაზეთის ბოლო გვერდზე გამოქვეყნდა, ეს სტატია უკვე მესამე გვერდზე იყო მოცემული. ავტორი წერდა, რომ ისტორიული ტოპონიმების საკითხზე უმეტესობის აზრი გარკვეულია, თუმცა შესამჩნევი პრაქტიკული შედეგები ჯერ კიდევ არ ჩანს, სახელების გადარქმევისთვის საკანონმდებლო ბარიერი ჯერ კიდევ არ შექმნილა. ავტორი კვლავ იმეორებს, რომ ინიციატივებისადმი მიდრეკილი ბიუროკრატის შეჩერება მხოლოდ „საჯაროობასა“ და შესაბამის კანონს შეუძლია, რადგან მას „საჯაროობის“ ეშინია, ხოლო ოფიციალურ კანონს, ბრძანებულებას, ინსტრუქციას ანგარიშს უწევს. ავტორი აჟღერებს ერთ-ერთი მკითხველის ა. კარპოვის წინადადებას, რომ ცნობილი ადამიანების სახელები ამა თუ იმ ობიექტს მიენიჭოს არა მისი გარდაცვალებისთანავე, არამედ გარვეული დროის გასვლის შემდეგ. ვასინსკიმ ამ წერილში უკვე კომუნისტ ლიდერებსა და კომუნიზმთან დაკავშირებულ სახელებსაც შეეხო. როგორც თავად წერს, ორჯონიკიძის სახელს ატარებდა 30 ქალაქი და დასახლებული პუნქტი, კიროვისა – 70-ზე მეტი, ბევრ დასახლებას ერქვა „ოქტომბერი“, არსებობდა 26 კომისრის ქუჩა მაშინ, როდესაც ამ კომისრებიდან არცერთი არ დაბადებულა და არ ცხოვრობდა ამ ქუჩაზე (Васинский 1986a: 3).

აღნიშნულ პუბლიკაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და გადმოცემის თვალსაზრისით, რადგან „იზვესტია“ იყო საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანო. მალევე ამ პროცესში ჩაერთო „ლიტერატურნაია გაზეთა“, „სოვეტსკაია კულტურა“, „მოსკოვსკაია პრავდა“, „ვეჩერნაია მოსკვა“, „მოსკოვსკი კომსომოლეც“ და სხვა. ამ ბეჭდური ორგანოების ფურცლებზე ტოპონიმების შესახებ მრავალი პუბლიკაცია გამოჩნდა, რომელთა ავტორებიც ხშირად ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. პრესის ფურცლებზე დაწყებული პროცესი, რა თქმა უნდა, ადგილობრივ დონეზე აისახებოდა. მაგალითად, 1986 წლის 13 აგვისტოს ქ. უსტინოვში გამოჩნდა პროკლამაციები, რომელიც ქალაქის მაცხოვრებლებს მოუწოდებდა, გამოსულიყვნენ დემონსტრაციაზე ლოზუნგით „ჩვენ მხარს ვუჭერთ იჟევსკს!“. შენობათა კედლებზე ჩნდებოდა წარწერები: „ДУХИ“, რაც ნიშნავდა – „Долой УСТИНОВ, ХОТИМ Ижевск!“ (ქართ. „ძირს უსტინოვი, გვსურს იჟევსკი“). დემონსტრანტები მილიციამ დაშალა. პროტესტმა საბოლოოდ შედეგი გამოიღო 1987 წლის 19 ივნისს, როდესაც ქალაქს ისტორიული სახელი დაუბრუნეს. აღნიშნული მოთხოვნით შეგროვებულ 5 ათას ხელმოწერას შორის იყო მიხაილ კალაშნიკოვის ხელმოწერაც (Кардопольцева, Ушакова 2023).

ჩვენ მიერ უკვე მრავალჯერ ნახსენებმა ალექსანდრ ვასინსკიმ 1986 წლის 19 აგვისტოს გამოაქვეყნა ახალი სტატია, რომელშიც მკითხველს სი-

ხარულითა და კმაყოფილებით ამცნობდა, რომ მოსკოვის საქალაქო საბჭომ რამდენიმე ქუჩას უკვე დაუბრუნა ძველი სახელი, რიგში კი სხვა ქუჩების საკითხი იდგა. „საჯაროობის ქარმა გაფანტა დაფარულობის ნისლი ჩვენი ცხოვრების მრავალ საკითხზე, მათ შორის ისეთებზე, თუ როგორ და ვინ იღებს გადაწყვეტილებებს ქუჩებისა და დასახლებული პუნქტების სახელდებისა და სახელის შეცვლის შესახებ. საზოგადოებრივი აზრის ნამდვილი და არა ფორმალური, სიტყვიერი გათვალისწინება სულ უფრო მეტად ხდება ქალაქების აღმასრულებელი კომიტეტების პრაქტიკის ნაწილი“ – წერდა ავტორი (Васинский 1986ა: 3).

1986 წლის 14 ნოემბერს შეიქმნა „კულტურის საბჭოთა ფონდი“ (კსფ) – საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვა. ფონდი საბჭოთა ხელისუფლებამ შეიქმნა, მისი დაფუძნების ინიციატორად მიხაილ გორბაჩოვის მეუღლე – რაისა გორბაჩოვა გამოვიდა. ფონდის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ პროგრამას „მეხსიერება“ წარმოადგენდა, რომელიც მიმართული იყო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენ, ათვისებისა და გამოყენებისკენ. პროგრამის უმთავრეს მიზნად სახელდებოდა მემორიალების, მუზეუმებისა და ძეგლების შექმნა, რომლებიც უკავშირდებოდა „საბჭოთა ადამიანებისთვის წმინდა სახელებს“, უპირველეს ყოვლისა ლენინსა და მის თანამებრძოლებს. კსფ-ის ფარგლებში შეიქმნა რესპუბლიკური კულტურის ფონდები, მათ შორის „საქართველოს კულტურის ფონდი“, რომელსაც სათავეში თენგიზ ბუაჩიძე ჩაუდგა. კსფ-ის ხელმძღვანელად დმიტრი ლიხაჩოვი აირჩიეს. 1988 წლიდან ფონდმა დაიწყო კულტურულ-ისტორიული ჟურნალის „ნაშე ნასლედზე“ გამოცემა (Хроника СФК 1988: 11-12).

კსფ-მა საუთარ თავზე აიღო ტოპონიმიკის საკითხის წარმართვა საბჭოთა კავშირში. დმიტრი ლიხაჩოვის ინიციატივით 1988 წლის აპრილში ფონდში ჩამოყალიბდა ტოპონიმიის საბჭო, რომელსაც სათავეში ცნობილი ენათმეცნიერი ვლადიმირ ნეროზნაკი ჩაუდგა. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ: ნ. ტოლსტოი (ენათმეცნიერი, აკადემიკოსი), ე. მურზავეი (გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი), ვ. იანინი (არქეოლოგი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), ვ. კრუპინი (მწერალი), მ. გორბანოვსკი (ჟურნალისტი), ო. ბასილაშვილი (არტისტი) და სხვები. ტოპონიმიის საბჭო სამთავრობო ინსტიტუტს არ წარმოადგენდა, თუმცა მისი რეკომენდაციები დიდ მნიშვნელობას იძენდა. 1988 წლის ზაფხულში კსფ-მ და ტოპონიმიის საბჭომ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისა და მათი გადაჭრის გზების დასახვის მიზნით ორგანიზება გაუწია შეხვედრას „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში, რომელშიც აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძეც მონაწილეობდა. ერთ-ერთ ინტერვიუში ვ. ნეროზნაკმა განაცხადა, რომ საბჭოს უმთავრესი მიზანი იყო ისტორიულ სახელწოდებათა აღდგენისთვის საჭირო დასაბუთებული მეცნიერული პრინციპების შემუშავება;

ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა სახელწოდებათა მასობრიობასთან, რაც, მისი შეფასებით, ისტორიულ პირთა დევალაციაში იწვევდა; საბჭო მიზნად ისახავდა შესაბამისი ორგანოების მიერ ისტორიულ სახელწოდებათა „წითელი წიგნის“ შექმნასა და მათი დაცვის საგანგებო კანონის შემუშავებას. ნეროზაკმა გააჟღერა საბჭოს მიდგომა – „ახალი სახელი – მხოლოდ ახალ ქალაქს, ქუჩას, სოფელს“. მას გაუმართლებლად მიაჩნდა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი ა. ჟდანოვის სახელს ატარებდა, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრი კი ს. კიროვისა და ა. შ. (ივინა 1988: 2; Всесоюзная... 1989: 130).

ამგვარად, ტოპონიმიკის საკითხის განხილვამ უმაღლეს სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში გადაინაცვლა.

1988 წლის 3 აგვისტოს გამოქვეყნდა დმიტრი ლიხაჩოვის, თამაზ გამყრელიძისა და ვლადიმირ ნეროზაკის ერთობლივი წერილი „ისტორიული სახელწოდებებიც – კულტურული ძეგლებიც“. ავტორები ხაზს უსვამდნენ, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებებს აქვთ ფუნდამენტური ისტორიული მნიშვნელობა, ამავე დროს ისინი ენის ძეგლებსაც წარმოადგენენ. ისინი გამოთქვამდნენ შეშფოთებას გეოგრაფიული სახელების მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე მათი დაცვისა და კვლევის შესახებ. ავტორები ისტორიული სახელწოდებების ჩანაცვლების პროცესს „გაუმართლებელ, და ზოგჯერ ოპორტუნიტულსაც“ უწოდებდნენ; დაუშვებლად მიიჩნევდნენ ისტორიული სახელების გადარქმევის პოლიტიკის მომავალში გაგრძელებას და ცალკეული პიროვნებების სახელის მინიჭებას დასაშვებად მიიჩნევდნენ უკიდურეს შემთხვევაში ახალი გეოგრაფიული ობიექტების წარმოქმნისას. ავტორებისთვის აგრეთვე დაუშვებელი იყო სასწავლო დაწესებულებებისთვის, კულტურის სახლებისთვის, თეატრებისა და სხვა მსგავსი დაწესებულებებისთვის ისეთი პიროვნებების სახელის მინიჭება, რომლებიც ამ დაწესებულებებთან პირდაპირ კავშირში არ იყვნენ. მაგალითად, მათი აზრით ლენინგრადის უნივერსიტეტისთვის ა. ჟდანოვის ნაცვლად დ. მენდელეევის სახელი უფრო შესაფერისი იყო. კსფ-ის ტოპონიმიის საბჭოს სახელით ავტორები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე განსახილველად აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებს: 1) ისტორიულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს (ქალაქების, დაბების, ქუჩების, მოედნების, მთების, მდინარეების სახელებს და ა. შ.) მინიჭებოდა „ისტორიისა და კულტურის ძეგლების“ სტატუსი, რათა ისინი სახელმწიფოს სამართლებრივი დაცვის ქვეშ აღმოჩენილიყვნენ; 2) მკაცრი სამეცნიერო საწყისების საფუძველზე შემუშავებულიყო და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინათ „დადგენილება გეოგრაფიული ობიექტების სახელებისა და სახელთა შეცვლის შესახებ“, რომელიც უნდა ყოფილიყო გეოგრაფიული სახელწოდებების მიმართ ახალი მიდგომის შესაბამისი; 3) პირველი ნაბიჯის სახით საბჭოთა კავშირის რუკას უნდა დაბრუნებოდნენ ისტორიული სახე-

ლწოდებები: „ტვერი“ (1931 წლამდე) კალინინის ნაცვლად, „ნიჟნი ნოვგოროდი“ (1932 წლამდე) გორკის ნაცვლად, „სამარა“ (1935 წლამდე) კუიბიშევის ნაცვლად, „მარიუპოლი“ (1948 წლამდე) ჟდანოვის ნაცვლად, „ვიატკა“ (1934 წლამდე) კიროვის ნაცვლად, „ლუგანსკი“ (1935 წლამდე და 1958-1970 წლებში) ვოროშილოვგრადის ნაცვლად, „პეტერგოფი“ პეტროდვორეცის ნაცვლად, „განჯა“ კიროვაბადის ნაცვლად; 4) ისტორიული სახელწოდებების აღდგენის პროცესი უნდა წარმართულიყო „საჯაროობისა“ და „დემოკრატიზაციის“ სულისკვეთებით (Лихачёв, Гамкрелидзе... 1988: 3).

ამგვარად, ისტორიული ტოპონიმების აღდგენის პროცესი დაიწყო იმპერიულ ცენტრში, რომელსაც ძალიან მალე საბჭოთა რესპუბლიკები აჰყვნენ. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ ქ. ჩერნენკოს 1988 წლის დეკემბერში ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით კვლავ „შარიპოვო“ ეწოდა, იქამდე, 6 იანვარს ქ. ბრეჟნევი კვლავ „ნაბერეჟნიე ჩელნი“ გახდა. ხანმოკლე აღმოჩნდა ქ. ანდროპოვის სახელიც, 1989 წლის 4 მარტს მას კვლავ „რიბინსკი“ უწოდეს.

გარდამტეხი მოვლენა იყო 1989 წლის 17-20 აპრილს მოსკოვში ჩატარებული პირველი საერთო-საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ კსფ და სსრკ მეცნიერებათა აკადემია. კონფერენციის დევიზი იყო „ისტორიული სახელწოდებები – კულტურის ძეგლები“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, გეოგრაფები, მხარეთმცოდნეები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკიდან, ჯამში 87 ქალაქიდან. ვლადიმირ ნეროზნაკმა მსჯელობისას გამოიყენა ჯორჯ ორუელისეული ტერმინები და ისტორიულ სახელწოდებებს ტოპონიმიკური „ძველმეტყველება“ უწოდა, ახალ, კომუნისტურ ტოპონიმებს კი – „ახალმეტყველება“. საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმის შესახებ, რომ წლების განმავლობაში ხდებოდა ტოპონიმების ეროვნული ფორმების ჩანაცვლება რუსული ფორმებით. ღონისძიებაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ ეს ამ საკითხის პრაქტიკაში განსახორციელებლად აწყდებიან ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგობას, რომლებსაც ხშირად უბრალოდ არ ესმოდათ ამ საკითხის მნიშვნელობა, ის, თუ რატომ ითხოვდა საზოგადოება ძველი სახელწოდებების აღდგენას. ერთ-ერთ მაგალითად განიხილეს ქ. გორკისთვის ძველი სახელის – „ნიჟნი ნოვგოროდის“ დაბრუნების საკითხი. როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლება ამ ინიციატივას უარყოფითად შეხვდა, მხარი არ დაუჭირა და მიზეზად ცვლილების გამო მოსალოდნელი ფინანსური ხარჯები დაასახელა. საქალაქო საბჭოში კენჭიყრის დროს დეპუტატთა უმრავლესობამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა (ქალაქის ხელმძღვანელობამ ხარჯად დაასახელა 50-60 მილიონი მანეთი, სპეციალისტებმა კი რეალურ ხარჯად 500 ათასი მანეთი იანგარიშეს). ერთ-ერთმა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ სანამ მოსკოვში წამოვიდოდა, თავის ქალაქში, რომლის მაცხოვრებლებიც ქალაქისთვის ძველი სახე-

ლის დაბრუნებას ითხოვენ, უფროსმა გააფრთხილა - თუ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებდა, სამსახურიდან გაათავისუფლებდა. კონფერენციაზე გაიჟღერა წინადადებათა გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ ახალი კანონის მიღების აუცილებლობის შესახებ. კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები, მათ შორის: საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში „კულტურის საბჭოთა ფონდის“ წარმომადგენელი სადეპუტატო ჯგუფს დაევალა უმაღლეს საბჭოში მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივ ინიციატივას ქალაქების ისტორიული სახელწოდებების აღდგენის შესახებ; აგრეთვე, კულტურის ფონდისა და მეცნიერებათა აკადემიის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება ისტორიული გეოგრაფიული სახელწოდებების ღირებულებათა პროპაგანდისა და „მოსახლეობის ტოპონიმიური კულტურის ამაღლების“ მიზნით. კონფერენციამ მიიღო იმ ქალაქების სია, რომელთა ძველი სახელები აღდგენას ექვემდებარებოდა, მათ შორის დასახელდა: ბაღდათი, რომელსაც 1940 წელს უწოდეს „მაიაკოვსკი“, ოზურგეთი (1934 წლიდან „მახარაძე“) და სენაკი (1935-1976 წწ - „მიხა ცხაკაია“, 1976 წლიდან - „ცხაკაია“). სია ტოპონიმიის საბჭომ მოამზადა. კონფერენციის შესახებ ნ. რავენსკაიას თქმით, ღონისძიებამ აჩვენა, რომ ხალხი ისტორიული სახელწოდებების დაბრუნებას „გარდაქმნის“ პროცესს, ეროვნებათშორის ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს, მივიწყებული ეროვნულ-კულტურული ტრადიციების აღორძინებას და ამ ტრადიციების მიმართ ახალგაზრდა თაობის პატივისცემას უკავშირებდა (Ревенская 1989: 129-136). კვლავ ხაზგასასმელია ისიც, რომ კონფერენციამ ვერ „გაბედა“ ისეთი ადამიანების სახელების შეხება, როგორიცაა ლენინი, მარქსი ან ენგელსი. „საჯაროობისა“ და „გარდაქმნის“ პროცესი ამ ეტაპამდე ჯერ კიდევ არ იყო მისული.

„სახელდების საკითხებში გამეფებულია თვითნებობა და უწესრიგობა. თანამედროვე სახელწოდებათა რეპერტუარი, ფორმირებული ჩვენი ასწლეულის 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით, წინააღმდეგობაში მოდის ახლებურ აზროვნებასთან, გარდაქმნის იდეოლოგიასთან. ის ზედმეტად არის გაჯერებული ანაქრონისტული სახელწოდებებით, რომლებიც პიროვნების კულტისა და უძრავობის ატრიბუტიკას ასახავენ“ - წერდა კონფერენციის მასალების კრებულში დ. ლიხაჩოვი და დასძენდა, რომ წლების განმავლობაში ტოპონიმიკის მიმართულებით წარმართული პოლიტიკა იყო ლენინური გზიდან გადახვევა და სტალინის მიერ დაშვებული პრაქტიკა (Всесоюзная... 1989: 3-4).

კონფერენციაზე საქართველოში ტოპონიმების მიმართულებით არსებული ვითარების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ენათმეცნიერი შუქია აფრიდონიძე, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოში ოიკონიმები ძირითადად „მემორიალურ კალაპოტში“ იყო ჩამდგარი, ეფუძნებოდა იდეოლოგიას და გამართლებული არ გახლდათ. მოხსენებაში ხაზგასმული იყო, რომ რუსთაველის ქვეყანაში ერთ-ერთ ქალაქს პოეტ ვლადიმირ მაიაკო-

ვსკის სახელი ერქვა. აფრიდონიძემ აგრეთვე ახსენა თბილისთან ახლოს ცოტა ხნით ადრე წარმოქმნილი კომკავშირული ქალაქი „ბორის ძნელაძე“. მოხსენებას ჰქონდა ძველი სახელწოდებების აღდგენის აუცილებლობის სულისკვეთება. ენათმეცნიერმა აგრეთვე ყურადღება მიაქცია დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შედეგად გამქრალ დასახლებულ პუნქტებს და შესაბამისად მათ სახელწოდებებს (Всесоюзная... 1989: 7).

1989-1991 წლებში საბჭოთა რესპუბლიკებში ბევრ დასახლებას ისტორიული სახელი დაუბრუნდა. ყველაზე რეზონანსული იყო ლენინგრადისთვის ძველი სახელწოდების - „სანქტ-პეტერბურგის“ დაბრუნება (1991 წლის 6 სექტემბერი), რასაც ქალაქის მოსახლეობის აზრის გამოკითხვა უძღოდა წინ.

საქართველოს სსრ-ში გეოგრაფიული ობიექტების სახელთა ცვლილება ეფუძნებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 17 მარტის ბრძანებულებას „რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და სხვა ობიექტებისათვის სახელის დარქმევა-გადარქმევის წესთა დებულებას“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 დეკემბრის №734 დადგენილებას (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 276).

1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომუნისტურ იდეოლოგიასთან დაკავშირებული სახელები საქართველოში ერქვა რამდენიმე ქალაქს, რაიონს, დაბასა და სოფელს.¹⁴

„გარდაქმნის“ პერიოდის საქართველოში ისტორიული ტოპონიმების აღდგენის შესახებ დისკუსიის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ ქართველი მწერლისა და ისტორიკოსის ლევან სანიკიძის მიერ 1987 წლის 26 ივნისს გამოქვეყნებული წერილი „დედაენას და დედაისტორიას ნურას წავართმევთ“. ავტორი წერს, რომ ახალი ტოპონიმების დამკვიდრების პოლიტიკა,

¹⁴ ვლადიმირ ლენინის (უღიანოვის) სახელი - 1 დაბას, 1 რაიონს და 9 სოფელს, იოსებ სტალინის სახელი - 1 სოფელს, სერგეი კიროვის სახელი - 8 სოფელს, სერგო ორჯონიკიძის სახელი - 1 დაბას, 1 რაიონს, 4 სოფელს, ფილიპე მახარაძის სახელი - 1 ქალაქს, 1 რაიონს, 3 სოფელს, მიხა ცხაკაიას სახელი - 1 ქალაქსა და 1 რაიონს, ალექსი (საშა) გეგეჭკორის სახელი - 1 ქალაქსა და 1 რაიონს, ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის სახელი - 1 ქალაქსა და 1 რაიონს, ზნაურ აიდაროვის სახელი - 1 დაბასა და 1 რაიონს, ვლადიმირ მაიაკოვსკის სახელი - 1 ქალაქსა და 1 რაიონს, მიხაილ კალინინის სახელი - 2 სოფელს, სტეფან შაუმიანის სახელი - 1 დაბასა და 1 სოფელს, ალექსანდრე მიასნიკიანის (მიასნიკოვის) სახელი - 2 სოფელს, პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძის სახელი - 1 სოფელს, ვასილი ჩაპაევის სახელი - 1 სოფელს, სემიონ ბუდიონის სახელი - 1 სოფელს, ანდრეი ჟდანოვის სახელი - 1 სოფელს, ერნსტ ტელმანის სახელი - 1 სოფელს, გრიგოლ როგავას სახელი - 1 სოფელს და ა. შ. მრავლად იყო დასახლებული პუნქტები, რომელთა საფუძველი იყო „წითელი“, „ოქტომბერი“, „პირველი მაისი“, „საბჭოთა“, „ჩაი“, „სოციალისტური“, „შრომა“, „მშვიდობა“, „განათლება“, „განახლება“, „განთიადი“, „დიდება“, „ცოდნა“ და სხვა (საქართველოს სსრ... 1987).

რომელიც 20-30-იან წლებში მიმდინარეობდა, მიმართული იყო „ეროვნული ისტორიისა“ და ქართული ენის წინააღმდეგ. ის ყურადღებას ამახვილებს შემდეგ დასახლებულ პუნქტებზე: მარტვილი, სენაკი, ოზურგეთი, ბაღდათი, ხონი, ხარაგაული და წერს: „ყოველ ცალკეულ ტოპონიმში, ზედმეტ-ნაკლებად, ხალხის ეროვნული ხასიათი ძევს - იმ ხალხის ადამიანური ვნებანი და ფიქრები, განცდანი და განსჯანი... ეს სახელები უმნიშვნელოვანესი, გნებავთ, წმიდათანმიდა ძეგლები გახლავთ ჩვენი ეროვნული ისტორიისა... ადგენენ და ექვსივე ეს მრავალსაუკუნოვანი და დიდმნიშვნელოვანი ისტორიული სახელი ერთის კალმის მოქნევით „მოშალეს“ და მათ ადგილზე ახალი სახელები, თანაც პიროვნული გვარები (!) „დაამკვიდრეს“. არა და, არც მაშინ არსებობდა და მით უფრო ახლაც არ არსებობს **არავითარი გამართლება, არავითარი დასაბუთება** (ხაზგასმა ავტორისაა) ეროვნული ისტორიის ასეთი „ხელყოფისა“ და აბუჩად აგდებისა, აქვე დავძენ, რომ ისტორიის შეურაცხყოფელად იმ პიროვნებათა გვარები კი არ მიმაჩნია - პირიქით, ისინი საქართველოს საისტორიო ბედისწერამ სწორედ ერის ახალი ისტორიის მეთაურებად და ხელმძღვანელებად მოავლინა... ვიმეორებ - ეს პიროვნებანი ისტორიისათვის მარად სახსოვარი გმირები არიან-მეთქი, და მათზე, როგორც სოციალური რევოლუციის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე, დღემდე ბევრი რამ დაწერილა და მომავალშიც ძალიან ბევრი რამ დაიწერება, ძალიან ბევრი“. ავტორს მაგალითად მოჰყავს „სტალინირისთვის“ ისტორიულის სახელის („ცხინვალი“) დაბრუნება, თუმცა თავად სტალინს სახელით არ ახსენებს და „ქართველ სოციალ-რევოლუციონერთა და პოლიტიკოსთაგან ყველაზე დიდისა და თვალსაჩინოს“ ეპითეტით მოიხსენიებს. ავტორი ეხება რამდენიმე სოფელსაც, მაგალითად ისტორიული სალომინაო (იჭამინდელი კიროვი), ჯვარისა (იმჟამინდელი შრომა). ჯვარისაზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ თავის დროზე ეს სახელი ადგილობრივმა „გულმხურვალე უღმერთოებმა“ გადაარქვეს. ავტორის ერთ-ერთი არგუმენტი ისაა, რომ იმჟამინდელი სახელები ძირითადად ოფიციალურ დოკუმენტებში ფიგურირებდა, მოსახლეობა ამ ადგილებს მაინც ისტორიულ სახელებს უწოდებდა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს „ტოპონიმურ მტრებზეც“ და სწუხს, რომ თურქული ტოპონიმების შეცვლა საქართველოში არ მომხდარა, განსხვავებით სომხეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1971 წელს ეს საკითხი დაისვა და მას აკაკი ბაქრაძემაც დაუჭირა მხარი. საინტერესოა ის, რომ ქართულ ტოპონიმებთან მებრძოლებს შორის ავტორი თავად ქართველებსაც ასახელებს, მაგრამ არაფერს ამბობს რუსების/საბჭოთა რეჟიმის შესახებ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პლენანოვის ქუჩაზე. ის წერს, რომ თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდიას ჰქონდა მოსაზრება პლენანოვის ქუჩისთვის დავით აღმაშენებლის სახელის დარქმევის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ პლენანოვი „თავისი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობით და პოლიტიკური

სინდისით იყო იგივე იყო (რუსეთში), რაც იყო ჟორდანია (საქართველოში)“. ავტორი ისტორიული სახელწოდებების აღდგენასთან ერთად მიზანშეწონილად მიიჩნევდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის გაერთიანებულ მეცნიერულ ბაზაზე საგანგებო კომისიის შექმნას (სანიკიძე 1987: 12).

1987 წელს ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოქმედებები ღიად დაიწყო. გაჩნდა რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებმაც თანდათან გააძლიერეს ბრძოლა ისტორიული ძეგლების დაცვისთვის, ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობის წინააღმდეგ, ქართველი ახალგაზრდების საბჭოთა ჯარში განწევის შესაჩერებლად და ა. შ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებამ ხელი შეუწყო ისტორიულ სახელწოდებათა აღდგენის, ტოპონიმების განსაბჭოებისა და დეკომუნიზაციის პროცესს.

1988 წლის 15 აპრილს „ლიტერატურულმა საქართველომ“ გადმოებეჭდა ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ნ. ივინას წერილი – „რისთვის ვიბრუნებთ ძველ სახელებს?“ და მას რედაქციის მინაწერი დაურთო: „კულტურის საბჭოს ფონდმა ტოპონიმების საბჭოს შექმნით დიდი საქმე გააკეთა. ვფიქრობთ, საქართველოს კულტურის ფონდიც შექმნის ტოპონიმების რესპუბლიკურ საბჭოს, რომელიც ჩვენი საზოგადოებრიობის დახმარებით ყველა ღონეს იხმარს ჩვენი ძველი სახელწოდებების „წითელი წიგნის“ შესადგენად, ისტორიული, ძველი სახიერი და ძვირფასი სახელწოდებების აღსადგენად“ (რედაქციისაგან 1988: 2). იქვე მოცემული იყო სარედაქციო ცნობა სახელწოდებით „დიდი საქმის დასაწყისი“, რომელშიც ვკითხულობთ: „მიგვაჩნია, რომ ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრის – ტოპონიმიკის ლაბორატორიისა და საქართველოს კულტურის ფონდის ტოპონიმების საბჭო (თუ მისი შექმნა მიზანშეწონილად ჩაითვლება) კოორდინირებული თანამშრომლობა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ტოპონიმების მასალების შეკრებასაც, ფიქსირება-გამოქვეყნებასაც, მათს მეცნიერებული ასპექტებით გაანალიზებასაც და ბევრი, მიზეზთა და მიზეზთა გამო აღკვეთილი, ხელნაკრავი ტოპონიმების გაცოცხლებასაც“ (დიდი საქმის დასაწყისი 1988: 2).

ლევან სანიკიძე ტოპონიმების საკითხს ერთი წლის შემდეგ კვლავ მიუბრუნდა. 1988 წლის 22 ივნისს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მისი წერილი, რომლის ადრესატი ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო. ავტორი აღნიშნავს, რომ ერთი წლის წინ გამოქვეყნებულმა მისმა სტატიამ „მკითხველ საზოგადოებაში საყოველთაო მოწონება, მხარდაჭერა და გამოხმაურება ჰპოვა“. სანიკიძე რედაქტორს კვლავ შეახსენებდა მის მიერ დასმულს საკითხებს, მათ შორის პლესხანოვის ქუჩისთვისთვის დავით აღმაშენებლის სახელის მინიჭების აუცილებლობას. „...ისედაც, ნოე ჟორდანიას აჩემება იყო პლესხანოვის სახელის დამკვიდრება საქართველოს დე-

დაქალაქის შუაგულში“ – წერდა იგი. თუკი ნოე ჟორდანიას მიმართ ავტორის პოზიცია უცვლელია, მკვეთრად შესამჩნევია მისი დამოკიდებულების ცვლილება ერთ-ერთი ბოლშევიკი რევოლუციონერის, სერგო ორჯონიკიძის მიმართ: „მაინც ყველაზე მეტად ორჯონიკიძის „სახელობისა“ ყოფილა საქართველო: ორჯონიკიძის რაიონი, ორჯონიკიძის ქალაქი, ორჯონიკიძის დაბა, ორჯონიკიძის სკოლა, ორჯონიკიძის თეატრი... ვის შეუძლია აგვიხსნას, რატომ ჰქვია ორჯონიკიძის სახელი თელავის თეატრს? კაცს ნაციონალური თეატრის გახსენება ალერგიას მართებდა („ლამარა“ ნაციონალისტური წარმოდგენააო, – აღშფოთებით იძახდა, თურმე, „რკინის სახკომი“) და თეატრებსაც აღარ ასვენებს მისი სახელით. თითქოს, საქართველოს კულტის გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლოს: სტალინის სანაცვლოდ დაისვა კულტი ორჯონიკიძისა, – ამ „გარუსებული დერჟიმორდასი“ (ეს ხომ ლენინის შეფასებაა!), საქართველო თავის ნებისად გასარიგებელ-გასაბოძებელ „ვოტჩინად“ რომ მიაჩნდა...“. ორჯონიკიძის მიმართ ასეთი თამამი განცხადება უნდა აიხსნას არა სანიკიძის დამოკიდებულების ცვლილებით, არამედ ერთ წელიწადში საზოგადოებაში მომხდარი ტრანსფორმაციით, რამაც სანიკიძეს ამის დაწერის საშუალება მისცა. ავტორი კვლავ აყენებდა სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიკის საკითხს და გაზეთის რედაქტორს სთხოვდა, მის ერთი წლის წინანდელ წერილზე გამოგზავნილი ყველა გამოხმაურება, რომელიც რედაქციის ფოსტაში დაგროვილიყო, გაზეთში გამოქვეყნებულიყო (სანიკიძე 1988: 6).

ამ წერილში გამოთქმული ღია კრიტიკული ტონი და მკითხველთა გამოხმაურებების გამოქვეყნებისკენ მოწოდება აშკარას ხდიდა, რომ ტოპონიმების საკითხზე დისკუსიას მწვანე შუქი ენთებოდა.

1988 წლის 2 სექტემბერს გამოქვეყნდა ვასილ კიკნაძის წერილი „სახელწოდება ისტორია“. ავტორი ეხმიანება დ. ლიხაჩოვის, თ. გამყრელიძისა და ვ. ნეროზნაკის წერილს და აღნიშნავს, რომ ეს საკითხი ხალხს მანამდეც ანუხებდა, მაგრამ მაშინ ხმას ვერ იღებდა. „ჩვენში ძვალსა და რბილშია გამჯდარი პოლიტიკური შიშის ინერცია, ვინმემ პოლიტიკურ შეცდომად არ ჩათვალოსო. ასეთი „შეცდომა“ კი წარსულში ფიზიკურ განადგურებს უდრიდა. ამიტომ ფსიქოლოგიურად გასაგებიცაა. განა შიშის ინერციის შედეგი არ იყო ის ფაქტი, რომ თელავის თეატრს სანდრო ახმეტელის სახელი ვერ მიენიჭა? თეატრი ახალ შენობაში შევიდა, სათანადო აბრაც გაკეთდა, მაგრამ მავანმა და მავანმა ვეტერანების სახელით „ზემოთ“ წერილი აფრინა – როგორ უბედავენ ორჯონიკიძის სახელის გადარქმევასო და ყველაფერი ძველებურად დარჩა“ – წერს კიკნაძე. ავტორი აკრიტიკებს პიროვნების კულტს და ამბობს, რომ პიროვნების კულტის კრიტიკა მხოლოდ სტალინს არ ეხება, კულტი იყო პოლიტიბუროს ყველა წევრი, მაგალითად ვოროშილოვი და მოლოტოვიც. მას პარალელად ეგვიპტის ფარაონები მოჰყავს, რომლებიც საკუთარ სახელს სიცოცხლეში უკვდავყოფდნენ. ის სვამს კი-

თხვას – ვინ გვყავს ილია ჭავჭავაძეზე დიდი მამულიშვილი, მაგრამ არავის მოსვლია თავში ყვარლისთვის ჭავჭავაძის დარქმევა. ავტორს მაგალითად მოჰყავს ხონი, რომელსაც წულუკიძე შეარქვეს და მიიჩნევს, რომ ეს „პროფესიონალი რევოლუციონერის, ნიჭიერი, განათლებული, მართლაც პატივსაცემი ადამიანის“ მიმართ უფრო უპატივცემლობაა, ვიდრე პატივისცემა და ამით ამ ადამიანის სახელის დაპირისპირება მოხდა „ხონის დიდ ისტორიულ ცხოვრებასთან“. „ქალაქი ხომ მრავალი თაობების და ათასობით ადამიანთა ბიოგრაფიაა! ხალხის ხსოვნას ვერაფერი ჩაკლავს, ვერაფერი მოერევს. არ შეიძლება ისტორიასთან ჭიდილი. რევოლუციონერთა და საერთოდ პარტიულ ხელმძღვანელთა კულტივირების საერთო ატმოსფეროში გაჩნდა ქალაქები – პოლიტიკური პროვინციალიზმის ნიმუშები!... სულ ერთია, მდინარე მაინც მონახავს თავის ძველ, ბუნებრივ კალაპოტს, დღეს იქნება თუ ხვალ – მომავალი თაობები მაინც აღადგენენ სამართლიანობას და ყველა ისტორიულ ქალაქს დაუბრუნებენ თავიანთ სახელს. რეაბილიტაცია, ანუ თავის უფლებებში აღდგენა მართო ადამიანებს კი არა – ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელსაც სჭირდება“ – წერს ავტორი (კიკნაძე 1988: 2).

გაზეთის ამავე ნომერში მოცემულია ალექსანდრე სამსონიას წერილი იმის შესახებ, რომ რამდენიმე ხნის წინათ სახალხო დეპუტატთა ხელვაჩაურის რაიონული საბჭოს აღმასკომმა მთა „ცისკარს“ დაუბრუნა თავისი ძველი სახელი – მტირალა. „მთას ხალხმა ზედგამოჭრილი სახელი „მტირალა“ უწოდა, რადგან იგი ხშირად სანვიმარი ღრუბლებითა და ნისლითაა დაფარული, ერთი სიტყვით, სახელი კარგად გამოხატავდა შინაარსს, მაგრამ, ეტყობა ზოგიერთებს მაინც არ მოეწონათ, აქაოდა, როგორ შეიძლება ჩვენს სინამდვილეში საქმე სატირლად გვექონდესო, „პრობლემა“ ძალიან ადვილად გადაწყვიტეს: „მტირალას“ სახელი გამოუცვალეს და... „ცისკარი“ უწოდეს“ – წერს იგი. სამსონიას ცნობით, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დაბას – „ბენზეს“ – დაუბრუნდა ძველი სახელწოდება – „თამარი“ (სამსონია 1988, 2).

ამავე ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის წერილი „ჩვენი მოსაზრება“, რომელიც აგრეთვე ეხმიანება ლიხაჩოვის, გამყრელიძისა და ნეროზნაკის მიერ ოფიციალურად დაყენებულ წინადადებებს: „უპრიანია და დროული, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოამზადოს დადგენილება და უმშვენიერესი ძველი ისტორიული ქართული სახელები ისევ დაუბრუნდეს ბაღდათს, ხარაგოულს, ხონს, ოზურგეთს, მარტვილს, სენაკს...“. წერილში მთავარ სირთულედ ფინანსური ხარჯები სახელდება, ამიტომაც ორგანიზაციის წევრები მიმართავენ ყველას, რათა ამ საქმის განსახორციელებლად ნებაყოფლობითი შემოწირულობები გაიღონ (ჩვენი მოსაზრებანი 1988: 2).

1988 წლის 9 სექტემბერს გამოქვეყნდა რობერტ კეკელიძის წერილი „სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს“. ავტორი აღნიშნავს, რომ ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენის საკითხზე რუსულ პრესაში უფრო ხშირად ქვეყნდებოდა წერილები, ვიდრე ქართულში, რუსეთში საქმის პრაქტიკული განხორციელება უკვე დაწყებული იყო, საქართველოში კი – არა. მისი აზრით, რუსეთში ტოპონიმების საბჭოს შექმნის მსგავსად, საქართველოშიც უნდა შექმნილიყო მსგავსი ორგანო. ავტორი აგრეთვე გამოთქვამს კონკრეტულ წინადადებებს, როგორიცაა: პლესხანოვის პროსპექტისთვის სულხან-საბა ორბელიანის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ივანე ჯავახიშვილის, ხოლო თბილისის ეთნოგრაფიისა და არქიტექტურის მუზეუმისთვის („ღია ცის ქვეშ“) გიორგი ჩიტაიას სახელის მინიჭების შესახებ (კეკელიძე 1988: 14).

1988 წლის 28 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა ამავე პრეზიდიუმთან არსებული „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის“ შემადგენლობა. ეს კომისია შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1979 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით, რასაც წინ უძღოდა მსგავსი დადგენილების მიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1979 წლის 17 სექტემბერს. თავდაპირველად კომისიის შემადგენლობა პერსონალურად განისაზღვრა, 1984 წლის 26 ივლისის დადგენილებით კი თანამდებობათა მიხედვით. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1988 წლის 9 აგვისტოს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც რეკომენდაცია გასცა, რომ აღნიშნული კომისიის ხელმძღვანელი ყოფილიყო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და კომისიის შემადგენლობაში დამატებით შეეყვანათ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის აო-ს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე – ეროვნებათშორისი ურთიერთობის, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის სექტორის გამგე, „რუსთაველის საზოგადოების“¹⁵ გამგეობის თავმჯდომარე და საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №22811, ფურც. 151, 155).

1988 წლის 11 ნოემბერს მწერალმა და პუბლიცისტმა გრიგოლ რუხაიამ გამოაქვეყნა წერილი „იქნებ ასე სჯობდეს?“. ავტორს მიუღებლად მიაჩნდა,

¹⁵ „რუსთაველის საზოგადოება“ 1988 წლის 19 მარტს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დაფუძნდა.

რომ ქართულ გეოგრაფიულ პუნქტებს რუსები რუსული ტრანსკრიფციით წერდნენ (მაგალითად, ბიჭვინთა - Пицунда, ახალი ათონი - Новый Афон) და უცხოელებიც სწორედ რუსულ ფორმას იყენებდნენ. რუხაიამ გამოთქვა აზრი, რომ დაბა გეგეჭკორს დარქმეოდა „ჭყონდიდი“ და არა „მარტვილი“, რადგან, როგორც თავად წერს, „მარტვილი“ ბერძნული სიტყვაა, „ჭყონდიდი“ კი „უძველესი, ისტორიული და, რაც მთავარია, ქართული სახელი“ (რუხაია 1988: 10). იგივე ავტორის სხვა წერილი 1989 წლის 13 მაისს გამოქვეყნდა. ავტორი ზოგიერთი დასახლებული პუნქტის იმჟამინდელ სახელწოდებას ეროვნულ ცნობიერებაში არსებულ „დიდ ბალასტს“ უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ მახარაძეს უნდა დარქმეოდა „ოზურგეთი“, ორჯონიკიძეს - „ხარაგული“, ნულუკიძეს - „ხონი“, გეგეჭკორს - „ჭყონდიდი“, შაუმიანს - „შულავერი“, ცხაკაიას - „აია“, ზნაურს - „ოქონა“. ავტორს ტოპონიმიკური ერთეულებისადმი ყურადღების მაგალითად მოჰყავდა აზერბაიჯანი, სადაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დაწყების შემდეგ მასშტაბურად დაიწყეს დასახლებული პუნქტებისთვის აზერბაიჯანული სახელების დარქმევა. „... ჩვენ კი ჩვენსავე კანონიერ, ჭეშმარიტ უფლებებსა და ტოპონიმურ მონეტებზე კულისებში ვჩურჩულებთ და უმწეოდ ხელებს ვასავსავებთ (მარტო კ. ხარაძის წიგნის გამოუცემლობა რადა ღირს!). ტრადიციულ, ხელოვნურ შიშს ჩადრი უნდა ჩამოეხსნას!“ - წერდა ავტორი (რუხაია 1989: 2).

1988 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნდა გიორგი ცხაკაიას წერილი „ბატონ კონსტანტინეს სიტყვები“. წერილში ავტორი იხსენებს კონსტანტინე გამსახურდიასთან შეხვედრას, რომლის დროსაც შეკითხვაზე, თუ საიდან ბრძანდებოდა ის, უთქვამს - გეგეჭკორიდანო, მწერალს კი შეუსწორებია - „გეგეჭკორიდან კი არა, მარტვილიდან ყოფილა“. „მარტვილის სხივმფენი ტაძარი დაჰყურებს მთელს ქალაქს ბექობიდან... მე მარტვილელი ვარ. ამ სიტყვის წარმოთქმით სიამაყე მემატება“ - წერდა ავტორი (ცხაკაია 1988: 6).

1988 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნდა პროფესორ დავით ჭოხაძის წერილი „ელენე ახვლედიანის აღმართი“ - კარგად ჟღერს!“, რომელშიც ავტორი მხარს უჭერდა გაზეთ „თბილისის“ მკითხველთა წინადადებას - კიბალჩიჩის¹⁶ აღმართს მინიჭებოდა ელენე ახვლედიანის სახელი (ჭოხაძე 1988: 6).

1989 წლის 27 იანვარს გამოქვეყნდა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის წერილი, რომლებიც ითხოვდნენ ქ. თბილისში პავლოვის ქუჩაზე ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლისთვის ადგილის გამოყოფას და ამ ქუჩისთვის ყაზბეგის სახელის მინიჭებას. ძეგლს უსასყიდლოდ აქანდაკებდა ირაკლი ოჩიაური, კვარცხლბეკისა და მისი მიდამოს კეთილმოწყობისთვის საჭირო ქვას

¹⁶ ნიკოლაი კიბალჩიჩი (1853-1881) - რუსი რევოლუციონერი, ერთ-ერთი მონაწილე იმპერატორ ალექსანდრე II-ზე 1881 წელს განხორციელებული თავდასხმისა, რომელიც ამ უკანასკნელის მკვლელობით დასრულდა. რამდენიმე კვირაში კიბალჩიჩი სიკვდილით დასაჯეს.

თავად მოხევეები ჩამოიტანდნენ. გაზეთის რედაქციამ წინადადებას მხარი დაუჭირა (თბილისში ყაზბეგის ძეგლი... 1989: 6).

27 იანვარს ნოდარ ჭოლოკავამ წინადადებით მიმართა რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელობას, ეთავა თამარ მეფის სახელის უკვდავყოფა. მისი აზრით, სასურველი იყო თბილისში „თამარის გამზირისა“ და თამარ მეფის ძეგლის არსებობა (ჭოლოკავა 1989: 6).

22 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში „პოლიტიკურ სამაროვანთა“ გამო“ ლევან სანიკიძემ გამოთქვა წინადადება, რომ თბილისში დამარხული კომუნისტი ლიდერები მთაწმინდის პანთეონიდან (მახარაძე, ცხაკაია, თოდრია), კომუნართა ბაღიდან (კეცხოველი, ძნელაძე), რუსთაველის პროსპექტიდან (მიასნიკოვი, ათარბეგოვი, სტურუა, გეგეჭოროი, მოგილევსკი, ფაბრიციუსი, საღარაძე) და ლენინის მოედნიდან (კამო) გადაესვენებინათ მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ საერთო სასაფლაოზე (სანიკიძე 1989: 14).

1989 წლის 10 მარტს გამოქვეყნებულ წერილში ვახტანგ გოგრანელი გამოვიდა წინადადებით, რომ ავჭალის გზატკეცილისთვის „დავით გურამიშვილის გამზირი“ ეწოდებინათ. „სამწუხაროდ, მრავალ ქუჩას ჰქვია ისეთი სახელი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც თბილისთან, არც საქართველოსთან. მე მგონი, ეს საქმეც საჭაროობას უნდა მივანდოთ, საჭიროა ჩაერიოს პრესა, ტელევიზია, რადიო, ხალხი... უმრავლესობის აზრს მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ“ – წერდა ავტორი (გოგრანელი 1989: 12).

1989 წლის 31 მარტს თბილისის სახალხო დეპუტატთა კალინინის რაიონულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რაიონისთვის „მთაწმინდის“ დარქმევის შესახებ. საკითხი განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს. წინადადების ავტორი იყო №27 საარჩევნო ოლქის დეპუტატი თ. გოცაძე (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 281).

1989 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიმდინარე მშვიდობიანი მიტინგი საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო, რამაც ქვეყანაში ვითარება რადიკალურად შეცვალა. კომუნისტური რეჟიმი მოირყა, პოლიტიკური პროცესების წარმართვის ინიციატივა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელში გადავიდა. დაჩქარდა ზოგადად განსაბჭოებისა და დეკომუნიზაციის პროცესი, რაც ტოპონიმებზეც აისახა.

1989 წლის 13 მაისს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა გაზეთისთვის მიწერილი წერილები, მათ შორის თბილისის ტოპონიმის შესახებ. ზემოთ უკვე ნახსენები გრიგოლ რუხაიას აზრით, კარგი იქნებოდა, თუ თბილისში კომუნარების პარკს დაერქმეოდა „ცხრა მარტის გმირთა პარკი“, გმირთა მოედანს – „ცხრა აპრილის გმირთა მოედანი“, ჩელუსკინელთა ქუჩას – „ცხრა აპრილის გმირთა ქუჩა“. საინტერესოა, რომ ავტორის აზრით,

„ცხრა აპრილის გმირთა მოედნის“ ცენტრში უნდა დადგმულიყო შესაბამისი წარწერა ქართულ და ინგლისურ (არა რუსულ!) ენებზე. მზია მებალიშვილის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ კოჩეტკოვის ქუჩას მიენიჭებოდა „9 მარტის ქუჩის“ სახელი, კიროვის ქუჩას – „9 აპრილის მსხვერპლთა ქუჩა“, პლენანოვის სახელობის ბიბლიოთეკა-ფილიალს – დავით აღმაშენებლის სახელი, მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკს – ცოტნე დადიანის სახელი, კამოს ქუჩას – გრიგოლ ხანძთელის სახელი, კომუნარების ბაღს დაერქმეოდა „ერთობის ბაღი“ (წერილები ახკომს 1989: 6).

1989 წლის 10 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის სხდომა. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამავე კომისიის წევრი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. ტოპონიმების მნიშვნელობაზე საუბრისას მან ტოპონიმებს „ხალხის ისტორიისათვის დაწერილი მათიანე უწოდა“. „ადგილმდებარეობის, მდინარეების, მთების, ლანდშაფტის სხვა ობიექტების სახელწოდებებში ხომ დაფიქსირებულია ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ისტორიული ხსოვნა. ამიტომ აბსოლუტურად გაუმაართლებელია გეოგრაფიული ობიექტების, განსაკუთრებით ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა შეცვლის ტრადიცია, რომელიც ჩვენთან ოციან და მომდევნო წლებში ჩამოყალიბდა. უფრო სწორად მიგვაჩნია შევუნარჩუნოთ მათ ისტორიული სახელწოდებანი. ახალი სახელები კი უნდა დავარქვათ ახლად აშენებულ დასახლებულ პუნქტებს“ – ითქვა გამყრელიძის მოხსენებაში. მომხსენებელმა გააჟღერა წინადადება, რომ მახარაძეს, მიხა ცხაკაიას, წულუკიძეს, გეგეჭკორს და ორჯონიკიძეს დაბრუნებოდა ისტორიული სახელწოდებები – ოზურგეთი, სენაკი, ხონი, მარტვილი და ხარაგაული. კომისიამ აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირა და დასახლებული რაიონების სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიმართა რეკომენდაციით – განეხილათ აღნიშნული საკითხი და თავიანთი წინადადებები უმოკლეს ვადაში წარმოედგინათ (დავუბრუნოთ ვალი ისტორიას 1989: 3). თამაზ გამყრელიძემ კომისიას შესთავაზა, რომ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრების არსებობის გამო მაიაკოვსკისთვის სახელის გადარქმევაზე დროებით თავი შეეკავებინათ, რაც კომისიის წევრებმა აგრეთვე გაიზიარეს (კუჭუხიძე 1989: 3).

1989 წლის 6 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის სახელწოდებათა აღდგენის შესახებ“. ამ ბრძანებულების მიხედვით, აღდგა ქალაქ გეგეჭკორის, ქალაქ მახარაძის, დაბა ორჯონიკიძის, ქალაქ ცხაკაიასა და ქალაქ წულუკიძის და მათი რაიონების ისტორიული სახელწოდებები – შესაბამისად: მარტვილი, ოზურგეთი, ხარაგაული, სენაკი და ხონი. ბრძანებულებაში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძ-

ვლად „საზოგადოებრივი აზრი და მშრომელთა წინადადებები“ სახელდებოდა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 112). იმისთვის რომ უკეთ გავაანალიზოთ ჩვენი კვლევის საკითხი, სათითაოდ განვიხილოთ თითოეული მათგანის შემთხვევა, რადგან ტოპონიმთა ცვლილება სხვა ადგილებში ძირითადად იგივე სცენარით მიმდინარეობდა.

ქალაქ **სენაკს**, სენაკის რაიონსა და სენაკის რკინიგზის სადგურს მიხა ცხაკაიას სახელი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 17 ივნისის დადგენილებით მიენიჭა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 112).

ცხაკაიასთვის ისტორიული სახელის დაბრუნების საკითხი ჯერ კიდევ 1988 წლის 24 სექტემბერს პარტიის რაიკომის მე-14 პლენუმზე და 19 ნოემბერს პარტიის რაიონული ორგანიზაციის 38-ე რაიონულ კონფერენციაზე განიხილეს, თუმცა სათანადო დროის, ორგანიზაციული და ფინანსური ფაქტორების გათვალისწინებით, საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა (არასანქცირებული მიტინგი... 1989: 1-2).

ქ. ცხაკაიაში 1989 წლის 1 მაისს ჩატარდა არასანქცირებული მიტინგი, რომელსაც 2 ათასამდე ადამიანი, უმეტესად ახალგაზრდები დაესწრნენ. მომიტინგეების მოთხოვნებს შორის იყო: ქალაქში 9 აპრილის სახელობის ხეივნის მოწყობა, 19-16 მაისს მიტინგების ჩატარების უფლება, ქალაქისთვის ისტორიული სახელის – სენაკის აღდგენა, ორჯონიკიძის ქუჩისათვის 9 აპრილის ქუჩის სახელის მინიჭება და სხვა (მომიტინგეთა მიერ დაყენებულ საკითხებს შორის იყო საქართველოს სრული ეკონომიკური სუვერენიტეტი და გაეროში საქართველოს წარმომადგენლობის გახსნაც) (არასანქცირებული მიტინგი... 1989: 1-2).

არასანქცირებული მიტინგის მოთხოვნებს 4 მაისს გამოეხმაურა ცხაკაიას რაიონული გაზეთის „კოლხეთის“ რედაქცია, რომელიც რა თქმა უნდა, გამოხატავდა პარტიის რაიონული კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს პოზიციას. რედაქციის განცხადებით, 9 აპრილის სახელობის ხეივნისა და ქუჩის, ზოგადად ქუჩების სახელწოდებათა მონესრიგების შესახებ ბოლო პერიოდში დასმული საკითხი, უყურადღებოდ არ დარჩენილა და ეს საკითხი რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მზადდებოდა. რაც შეეხება ქალაქისთვის ისტორიული სახელის დაბრუნების საკითხს, რედაქცია მკითხველს შეახსენებდა გასული წლის შემოდგომაზე ამ საკითხის განხილვის ამბავს, თუმცა მისი დადებითად გადაწყვეტის მოლოდინის შესახებ არაფერს ამბობდა (არასანქცირებული მიტინგი... 1989: 1-2).

რამდენიმე დღეში, 10 მაისს, ჩატარდა ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები შეხვედრა და ცხაკაიას რაიონულმა ხელმძღვანელობამ თბილისიდან კონრეტული დირექტივები მიიღო. 1989 წლის 12 მაისს გაიმართა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც გადაწყვიტა, რომ აღდგეს ქალაქის, რაიონისა და რკინიგზის სადგურის ისტორიული სახე-

ლები და ამ გადაწყვეტილების დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმართა. სესიაზე სიტყვით გამომსვლელთა შორის იყვნენ: რუსთაველის საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე მ. ცომაია, გაზეთ „კოლხეთის“ რედაქტორი თ. კანკია, სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ელიავა და სხვები (სახალხო დეპუტატთა... 1989: 1).

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ პრეზიდიუმისთვის გაგზავნილი ახსნა-განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ამ წინადადებას რაიონში „ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვა“; უკანასკნელ პერიოდში რაიონის მოსახლეები სხვადასხვა ღონისძიებაზე „დაჟინებით მოითხოვდნენ“ აღნიშნულ ცვლილებას; რაიონულ ორგანოებში შემოსული იყო ათეულობით წერილი სხვადასხვა საწარმოდან, დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან, მათ შორის „რუსთაველის საზოგადოების“ რაიონული გამგეობიდან. ამავე ბარათში აღნიშნულია, რომ იგივე მოთხოვნა ცოტა ხნით ადრე ახალგაზრდების მიერ ჩატარებული არასანქცირებული მიტინგის მიერ მიღებულ დეკლარაციაშიც დომინირებდა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 129-133).

აღნიშნულ ბარათში ხაზგასმული იყო, რომ ეს ცვლილება არ იქნებოდა „სახელოვანი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის მიხა ცხაკაიას ღვაწლისა და დამსახურების დაკნინება“. ქალაქი ინარჩუნებდა ცხაკაიას სახელობის მემორიალურ მუზეუმს, ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა მისი სახელობის იყო, ქალაქის ცენტრალურ პარკში იდგა მისი მონუმენტი და სხვა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 129-130).

ბარათში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ცვლილება გამოიწვევდა ეკონომიკურ დანახარჯებს, თუმცა რაიონის მოსახლეებმა თავიანთ წერილებში წარმოადგინეს წინადადება, რომ ამ ხარჯების ასანაზღაურებლად თავიანთი დანაზოგებით შექმნან სპეციალური ფონდი და ამას დაუმატონ ამ მიზნით ჩატარებული შაბათობების დროს გამომუშავებული თანხებიც (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 130).

16 მაისს რაიონულ გაზეთ „კოლხეთში“ გამოქვეყნდა ცნობილი არტისტის, სენაკის საპატიო მოქალაქის ბორის წიფურიას წერილი. „...ჩვენ უკვე სენაკელები ვართ. არავინ არავის დამსახურებას არ უკარგავს, მიხა ცხაკაია დარჩება როგორც რევოლუციონერი მოღვაწე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ მისი გვარით ჩვენი უძველესი რაიონის მონათვლა ნამდვილად ზედმეტი იყო. ასე, რომ ამ გარდაქმნამ ეს სიკეთე მაინც დაგვანახა და ალბათ სხვა რამეშიც დაგვასვამს თავის დაღს“ – წერდა წიფურია. არტისტმა ქალაქისათვის სახელის გადარქმევის ფონდში თავისი ერთი თვის ხელფასი – 500 მანეთი გადარიცხა (წიფურია 1989: 1).

დაბა **ხარაგაულსა** და მის რაიონს სერგო ორჯონიკიძის სახელი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1932 წლის 13 თებერვლის დადგენილებით მიანიჭა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 112). 1989 წლის 15 მაისს სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ მიიღო დაბისა და რაიონისთვის ისტორიული სახელის აღდგენის გადაწყვეტილება. წინადადების ინიციატორებად დასახელებულნი იყვნენ რაიონის სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივები. რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისთვის გაგზავნილი ახსნა-განმარტებით ბარათიდან ვიგებთ, რომ შესაბამისი რეკომენდაცია რაიონის ხელმძღვანელობამ 10 მაისს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებების საკითხთა კომისიისგან მიიღო. აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად კი ეს საკითხი 11-12 მაისს რაიონის მსხვილ საწარმოო ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეებმა განიხილეს (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 126-128).

ქალაქ **ოზურგეთსა** და მის რაიონს ფილიპე მახარაძის სახელი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1934 წლის 9 ივლისის დადგენილებით უწოდა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 112).

1989 წლის 13 მაისს რაიონულმა გაზეთმა „ლენინის დროშა“ მოწინავე გვერდზე გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი „ოზურგეთის დაბრუნება“. წერილი ეხებოდა საკავშირო პრესის ფურცლებზე ქალაქთა ისტორიული სახელების დაბრუნების საკითხის განხილვას და ტოპონიმების საკითხზე გამართულ პირველ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციას, რომელმაც ძველი სახელების დაბრუნების „ღირს“ ქალაქებს შორის მახარაძეც ჩაწერა. „...სახელების შეცვლისას მთავარ პრინციპად აღებულია მოსაზრება, რომ დასახლებული პუნქტები საერთოდ არ უნდა ატარებდნენ პიროვნებათა სახელებს. ასეა ჩვენი ქალაქის ახლანდელი სახელწოდების – მახარაძის შეცვლის შემთხვევაშიც; ქალაქს თავისი ისტორიული სახელწოდება მაინც უბრუნდება, მიუხედავად იმისა, შექმნილი კომპეტენტური კომისია დაადგენს თუ არა ფ. მახარაძის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, მისი მოღვაწეობის ჩრდილნათელს“ – ეწერა წერილში, რაც პირდაპირ მიანიშნებდა იმაზე, რომ ქალაქს ისტორიული სახელი მალე დაუბრუნდებოდა (ოზურგეთის დაბრუნება 1989: 1).

სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ 1989 წლის 15 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ქალაქისა და რაიონისთვის ისტორიული სახელის დაბრუნების შესახებ. ოზურგეთი ეწოდა რკინიგზის სადგურ „მახარაძესაც“. ამ საკითხზე საინფორმაციო სიტყვით გამოვიდა რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, აგრეთვე რაიონ-

ნული გაზეთის - „ლენინის დროშა“ - რედაქტორი თამაზ სალუქვაძე. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ „საყოველთაო და ყოვლისმომცველი გარდაქმნის ხანაში“ სასიხარულო იყო „დაშვებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და მორალურ-ზნეობრივი შეცდომების“ გამოსწორება, რაც რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე დაწყებული იყო. სესიამ მეორე საკითხიც განიხილა, რომელიც რაიკომის პირველმა მდივანმა თამაზ კუნჭულიამ დასვა და მიიღო გადაწყვეტილება - ქალაქის ვაგზლის მოედნიდან ფ. მახარაძის ძეგლის სხვა ადგილას გადატანის განხილვის შესახებ თხოვნით მიმართოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს (მახარაძის რაიონის... 1989: 1).

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ახსნა-განმარტებით ბარათში აღნიშნული საკითხის დაყენების მიზეზად სახელდებოდა ის, რომ „ოზურგეთი“ იყო ქალაქის ძირძველი სახელწოდება, რომელიც ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან მოიხსენიებოდა და ის წარმოადგენდა გურიის სამთავროს სატახტო ქალაქს, გურიის ცენტრს, ხოლო დასახლებისთვის 1934 წელს სახელის გადარქმევა მიჩნეული იყო „ტოპონიმებისადმი უდიერ დამოკიდებულებად“ (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 120-124).

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ რაიონულმა ხელისუფლებამ გადაწყვეტილების მიღებისას აგრეთვე იხელმძღვანელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებების საკითხთა კომისიის რეკომენდაციითაც (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 120-124). ამ კომისიას 23 მაისს ცნობა გაუგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულმა ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი - ტოპონიმიკის ლაბორატორიამ (ლაბორატორიის გამგე - პაატა ცხადაია). ამ ცნობაში „ოზურგეთის“ ეტიმოლოგიის განმარტებასთან ერთად ინიციატივა მხარდაჭერილი იყო (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 125).

სოფელ **მარტვილსა** და მის რაიონს ალექსი (საშა) გეგეჭკორის სახელი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით ეწოდა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 112).

1988 წლის დეკემბერში გეგეჭკორისთვის ისტორიული სახელის დაბრუნების თხოვნით რაიონული საბჭოს აღმასკომსა და პარტიის რაიკომს მიმართეს „რუსთაველის საზოგადოების“ რაიონულმა განყოფილებამ და ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონულმა საბჭომ. ამას მალევე მოჰყვა ათეულობით წერილი საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 115-119).

1989 წლის მაისის დასაწყისში გაიმართა კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პლენუმი, რომელზეც რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, რაიკომთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭოს თავმჯდომარემ, აგრეთვე რუსთაველის საზოგადოების რაიონული გამგეობის თავმჯდომარემ გივი ელიავამ დააყენა წინადადება რაიონის ძველი სახელწოდების – მარტვილის აღდგენის შესახებ (მის წინადადებათა შორის იყო სოფელ ბანდაში ებრაელთა სინაგოგის აღდგენაც) (მტკიცე დისციპლინა... 1989: 2).

1989 წლის 13 მაისს ეს საკითხი რაიონის ყველა სოფლის ყრილობაზე განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს. 16 მაისს სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო იგი განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს¹⁷ (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №28, საქმე №2833, ფურც. 115-119). რაიონული საბჭოს სესიაზე მოსაზრებები გამოთქვეს: რაიონული გაზეთის „შრომის დროშის“ რედაქტორმა კ. ასათიანმა, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, რუსთაველის საზოგადოების რაიონული გამგეობის თავმჯდომარემ გ. ელიავამ, სოფელ გაჭედილის „წინსვლის“ სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ლ. წულაიამ, სოფელ სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ბასილაიამ, სოფელ ხუნნის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ვ. ფირცხალავამ და სხვებმა (გეგეჭკორის სახალხო დეპუტატთა... 1989: 1).

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის გაგზავნილ ახსნა-განმარტებით ბარათში მოკლედ მოთხრობილია მარტვილის ისტორიის, მისი რელიგიური და კულტურული მნიშვნელობის შესახებ. დოკუმენტში ცხადად ჩანდა, რომ ისტორიული სახელწოდების აღდგენის მოთხოვნა იყო „იმ სასიკეთო ძვრების“ გამოძახილი, რომელიც „ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისა და გარდაქმნისათვის“ მიმდინარეობდა. ამავე დროს, აღნიშნული იყო, რომ ამ გადაწყვეტილებით სულაც არ იქნებოდა საშა გეგეჭკორის „ღვანლისა და სახელის დაკნინება“. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას უნარჩუნდებოდა გეგეჭკორის სახელი, რაიონის ცენტრში იდგა მისი მონუმენტი, ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნეობა მისი სახელობის იყო და ა.შ. ბარათში ყურადღება იყო გამახვილებული იმ ხარჯებზე, რისი გამოწვევა ოფიციალურ დოკუმენტებში ქალაქისა და რაიონის სახელის ცვლილებას შეეძლო, თუმცა იქვე გაცხადებული იყო მშრომელების წინადადება – ამ ხარჯების დასაფარად თავიანთი დანაზოგებით შეექმნათ სპეციალური ფონდი და დამატებითი თანხის შესა-

¹⁷ როგორც ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, მარტვილში გადაწყვეტილებათა მიღებისას გაითვალისწინეს სენაკის გამოცდილება.

გროვებლად სპეციალური შაბათობის მოწყობა. ბარათში გადანაცვლებების დასასაბუთებლად სამი ძირითადი არგუმენტი მოყვანილი: პირველი – ის, რომ „მარტვილი“ ქართული ენისთვის უცხო ტერმინი არ არის, ის მესხურ დიალექტზე „ყრმას“ ნიშნავს;¹⁸ მეორე – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მტკიცედ დაკანონების დროს მარტვილი ერთ-ერთი პირველი ფიგურირებდა ისტორიულ საბუთებში; მესამე – 1930-იან წლებში ახალი სახელწოდებით ჩანაცვლა სწორედ „მარტვილი“ და მოხდა მისი ლიკვიდაცია (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 115-119).

მაღევე დაიწყო განხილვა მარტვილის ქუჩებისთვის სახელების შეცვლის შესახებ. მაგალითად, რაიონული გაზეთის 23 მაისის ნომერში გენადი ნანავამ გამოაქვეყნა წერილი „მარადისობის კანონით“, რომელიც წერდა, რომ მიუხედავად მარქსის, ენგელსის, მიხა ცხაკაიას, სერგო ორჯონიკიძის მიმართ პატივისცემისა, მათ „რაიონის სინამდვილესთან“ უშუალო კავშირი არ ჰქონდათ. ავტორის აზრით, წულუკიძის ქუჩა უნდა გამხდარიყო აღმაშენებლის, ცხაკაიას ქუჩა – ცოტნე დადიანის, პრესის ქუჩა – 9 აპრილის მსხვერპლთა, ხოლო შრომის ქუჩა – რაიონის მკვიდრის, აბა ადამიას სახელობისა, რომელიც აგრეთვე ემხვერპლა 9 აპრილის ტრაგედიას (ნანავა 1989: 3).

ქალაქ **ხონსა** და მის რაიონს 1936 წელს ალექსანდრე (საშა) წულუკიძის სახელი მიენიჭა. ქალაქისა და რაიონისთვის ისტორიულის სახელის დაბრუნების საკითხი 1989 წლის 16 მაისს განიხილა და დადებითად გადანაცვლა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს რიგგარეშე სესიამ. სესიის ამონაწერიდან ირკვევა, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. კალანდაძემ განაცხადა: „რაიონის სინამდვილეში მოხშირდა ქუჩების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი მეურნეობების, სკოლებისა და სასწავლებლებისათვის განსაკუთრებით გამოჩენილის სახელმწიფო და საზოგადო პოლიტიკურ მოღვაწეთა, სამშობლოს დამცველთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელების დარქმევა, რომლის დროსაც იკარგება ტოპონიმთა მათრგანიზებული ფუნქცია. დაუშვებელია მოცემული ტერიტორიის ტოპონიმისა და ენის უგულებელყოფა“ (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 136). რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის გაგზავნილი ახსნა-განმარტების ბარათში ვკითხულობთ, რომ „ხონი“ უძველესი ქართული სახელწოდებაა, ქალაქი ხონი საეკლესიო ცენტრიდან აღმოცენდა, მოსე ხონელი ამ დასახლების მკვიდრად არის მიჩნეული, დასახლება მდებარეობდა სავაჭრო-საქარავნო გზაჯვარედინზე; ისტორიული სახელის დაბრუნების საკითხი მანამდეც ბევრჯერ დასმულა, თუმცა დადებითი გადანაცვლა არ ჰქონია; ამ შემთხვევაშიც ინიციატორებად დასახელებულნი იყვნენ რაიონის საწა-

¹⁸ ამავე ბარათში აღნიშნულია, რომ სულხან-საბას განმარტებით „მარტვილი“ ლათინური სიტყვაა და „მონამეს“ ნიშნავს.

რმო-დანესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივები, მათ შორის „რუსთაველის საზოგადოების რაიონული გამგეობა“. როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ხაზგასმული იყო, რომ ამ გადაწყვეტილებით ალექსანდრე (საშა) წულუკიძის „სახელს ჩრდილი ოდნავადაც არ მიადგებოდა“, ქალაქის ბაღში იდგა წულუკიძის ქანდაკება, მის საფლავზე კი ბიუსტი, სოფელ ივანდიდში 1988 წლიდან ფუნქციონირებდა მისი სახლ-მუზეუმი, მის სახელს ატარებდა ქალაქ ხონის კოლმეურნეობა, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა, მეორე საშუალო სკოლა და ა.შ; აღსანიშნავია, რომ ხონში, განსხვავებით ზემოთ განხილული შემთხვევებიდან, საკითხის განხილვისას საინააღმდეგო პოზიცია იყო - ქალაქისთვის ბოლშევიკი მოღვაწის სახელის შენარჩუნების აზრიც დაფიქსირდა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 134-135).

ამ ყველაფრის შემდეგ ტოპონიმების განსაბჭოების პროცესი „ქვემო-დან“ აქტიურად გაგრძელდა.

1989 წლის 14 მაისს ქუთაისში აღდგა „თამარობის“ აღნიშვნა. ამ დღეს მიეძღვნა გაზეთ „ქუთაისის“ სპეციალური საკვირაო ნომერი, რომელიც მკითხველს ატყობინებდა, რომ ქუთაისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფისა და ქალაქის ქუჩებისა და მოედნებისათვის სახელწოდებების მიკუთვნების წინადადებათა შემმუშავებელმა კომისიამ გადაწყვიტა, საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიმართოს თხოვნით, რომ კიროვის ქუჩას თამარ მეფის სახელი მინიჭებოდა, შაუმიანის ქუჩას კი ბორის გაპონოვისა. როგორც სარედაქციო წერილიდან ვიგებთ, გაზეთის ბეჭდვა უკვე მიმდინარეობდა, როდესაც რედაქციამ ამ ამბის შესახებ გაიგო, ამიტომაც 2200-ე ეგზემპლარზე ბეჭდვა შეწყვიტეს და ეს ცნობა გაზეთში ჩაამატეს, რადგან სურდათ, ქუთაისელებისთვის ეს ამბავი სწორედ „თამარობაზე“ ეხარებინათ („თამარობა“ ქუთაისში 1989: 2).

1989 წლის 17 მაისს ჩატარდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის მოსახლეობის კრება, რომელმაც მოითხოვა სოფლისთვის ძველი სახელწოდების - „ყულიშკარის“ დაბრუნება, აგრეთვე კოლმეურნეობისთვის ორჯონიკიძის სახელის გადარქმევა. 21 ივნისს ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაკმაყოფილებულიყო სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა და შესაბამისი თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. გადაწყვეტილების ტექსტში ვკითხულობთ: „სოფლის სახელი „ყულიშკარი“ მე-17 საუკუნის ძეგლის, ყულის ეკლესიის სახელს გამოხატავს, ხოლო სოფელი ამ ძეგლის მიმდებარე, მისი შესასვლელი კარი იყო“ (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 42). აღნიშნულ შემთხვევაში სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი სერგო ორჯონიკიძის „სახელისა და ღვანლის“ შესახებ.

1989 წლის 27 ივნისს გაიმართა ამბროლაურის რაიონის ველევის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს სესია, რომელმაც გადაწყვიტა, რომ

სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ კორტს აღდგენოდა ისტორიული სახელწოდება - „კვირიკენმინდა“. სესიის გადანყვეტილების ტექსტში პირდაპირ ეწერა: „სესია აღნიშნავს, რომ 1930-იან წლებში თვითნებურად, ხალხის დაუკითხავად, როცა უგულუბელყოფილი იყო მშრომელთა აზრი, ამბროლაურის რაიონის ისტორიულ სოფელს „კვირიკენმინდას“ შეუცვალეს სახელი და დაარქვეს სოფელი კორტი, სახელი არაფრისმთქმელი, ცუდად ჟღერადი, უცხო თვით სოფლის მცხოვრებლებისათვის, რომელთა ხსოვნაში ძლიერადაა შემორჩენილი სოფლის თავდაპირველი სახელის სიყვარული“ (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 39). 10 ივლისს ამბროლაურის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სოფლის მოსახლეობის გადანყვეტილებას მხარი დაუჭირა და შესაბამისი თხოვნით მიმართა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიას (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 38). 12 ივლისს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაუგზავნა ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ აღნიშნულ საკითხს სოფელ კორტის მოსახლეობა წლების განმავლობაში აყენებდა. ამ დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია, რომ სოფლის ენთუზიასტების ინიციატივით დაწყებული იყო X-XI საუკუნეებში აგებული კვირიკენმინდას ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები, ეკლესია თუნუქის სახურავით გადაიხურა, მოსახლეობაში გაბნეული ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები ეკლესიას დაუბრუნდა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 36-37).

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორჯონიკიძისა და კორტის მოსახლეობის გადანყვეტილებები განსახილველად ტოპონიმების ლაბორატორიას 1989 წლის 4 აგვისტოს წარუდგინა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 17). ლაბორატორიამ 1989 წლის 6 დეკემბერს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობას წარუდგინა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სოფელ კორტს თავდაპირველად კვირიკენმინდა ეწოდებოდა, რაც XIII-XIV საუკუნეების ისტორიულ წყაროებშიც დასტურდება, ამიტომაც მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ სოფელს ეს ისტორიული სახელწოდება დაბრუნებოდა. ლაბორატორიამ ასეთივე დასკვნა გასცა ყულიშკარის შემთხვევაშიც (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 19-20). ამის შემდეგ ლაბორატორიის აღნიშნული დასკვნები გაეგზავნა უზენაესის საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის წევრებს (გ. მელიქიშვილი, ბ. ჯორბენაძე, დ. ბერძენიშვილი, ჯ. გვასალია, კ. დანელია, მ. ლორთქიფანიძე და სხვები), რომელთაც თანხმობა განაცხადეს აღნიშნულ ცვლილებებზე (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 24-30).

1990 წლის 27 აპრილს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „ზოგიერთი სოფლისთვის სახელის გადარქმევის შესახებ“, რომლის მიხედვითაც ადიგენის რაიონის სოფელ ყარათუბანს ეწოდა „იმერთუბანი“, ამბროლაურის რაიონის სოფელ კორტს – „კვირიკენმინდა“, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძეს – „ყულიშკარი“ (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 15).

როგორც აღნიშნული შემთხვევებიდან ჩანს, მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უფრო გაბედულად გამოთქვამენ უკმაყოფილებას და ამავე დროს, თამამად უსვამენ ხაზს საკითხის როგორც ისტორიულ, აგრეთვე რელიგიურ მხარეს.

1989 წლის 26 მაისს ვანის რაიონის სოფელ კიროვში ჩატარდა სოფლის ყრილობა და სასოფლო საბჭოს სესია. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სოფელს აღუდგეს ძველი სახელწოდება – „სალომინაო“ (კიროვი 1934 წელს დაერქვა). მოთხოვნას სასოფლო საბჭოს 206 მცხოვრები აწერდა ხელს (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 287).

1989 წლის 30 მაისს ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა ადგილობრივი მაცხოვრებლების განცხადებები და სოფელ ორჯონიკიძეს დაუბრუნა ძველი სახელი – „გიორგეთი“, ცოდნას – „მანში“, ხოლო „პრავდის“ ქუჩას ეწოდა ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 310).

1989 წლის 10 ივნისს შედგა მარნეულის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის სასოფლო ყრილობა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად სოფლისთვის სახელის შეცვლის საკითხიც განიხილა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოფელს დარქმეოდა „აღმაშენებელი“ (ბუნაშვილი 1989: 3).

1989 წლის 7 ივლისს ქ. თბილისის კიროვის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ ოფიციალური გადაწყვეტილებით მხარი დაუჭირა რაიონისთვის „კრწანისის“ სახელის მინიჭების შესახებ (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 276).

1989 წლის 15 დეკემბერს თბილისის სახალხო დეპუტატთა ორჯონიკიძის რაიონულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „რაიონისთვის სახელწოდების შეცვლის შესახებ“. გადაწყვეტილების მიხედვით: რაიონული საბჭო იღებდა საბჭოს დეპუტატების წინადადებას რაიონისთვის სახელწოდების შეცვლის შესახებ; საკითხი უნდა დასმულიყო უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე; ახალის სახელწოდების მინიჭების მიზნით იქმნებოდა მუშა ჯგუფი, რომელსაც შესაბამისი წინადადების შემუშავება და რაიონული საბჭოსთვის წარდგენა დაევალა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 279).

1990 წლის აპრილში ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭომ გაიზაირა თბილისის საქალაქო საბჭოს აღ-

მასკომთან არსებული მრჩეველთა საბჭოს წინადადება და რაიონს „ისანი“ უწოდა და საქალაქო საბჭოს აღმასკომს თხოვნით მიმართა, ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით უზენაესის საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღედგრა (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 280).

1990 წლის 26 აპრილს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თბილისის რაიონებისთვის სახელწოდებები შეეცვალა: პირველი მაისის რაიონს უწოდა დიდუბის რაიონი, კალინინის რაიონს – მთაწმინდის რაიონი, კიროვის რაიონს – კრწანისის რაიონი, ორჯონიკიძის რაიონს – ვაკის რაიონი, საქარხნოს რაიონს – სამგორის რაიონი, 26 კომისრის რაიონს – ისნის რაიონი¹⁹. კომიტეტმა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თხოვნით უზენაეს საბჭოს მიმართა. გადაწყვეტილების ტექსტში წინადადებათა ინიციატორებს შორის სახელდებოდნენ: საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფისა და ქუჩებისათვის სახელწოდებების მიკუთვნების წინადადებათა შემმუშავებელი კომისია, მრჩეველთა საბჭო, „დედაქალაქის მშრომელები“, შემოქმედებითი კავშირები, „სტუდენტი ახალგაზრდობა“ (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 275).

1990 წლის 23 მაისს ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, გაეთვალისწინებინა რაიონის მოსახლეობისა და საქალაქო საბჭოსთან არსებული მრჩეველთა საბჭოს წინადადებები და უზენაესი საბჭოს წინაშე რაიონისთვის „დიდუბის“ სახელის მინიჭების შესახებ (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 277).

1990 წლის მაისში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მრჩეველთა საბჭოს წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქარხნო რაიონისთვის ეწოდებინა „სამგორი“. 29 მაისს თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რაიონის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ტექსტის მიხედვით, ეს საკითხი თავდაპირველად რაიონის მოსახლეობამ და მიკროსაბჭოებმა დააყენეს (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 278).

1990 წლის 8 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც მოხდა ქალაქ თბილისის ზოგიერთი რაიონის სახელის განსაბჭოება: კალინინის რაიონს ეწოდა მთაწმინდის რაიონი, კიროვის რაიონს – კრწანისის რაიონი, ორჯონიკიძის რაიონს – ვაკის რაიონი, 26 კომისრის რაიონს – ისნის რაიონი, პირველი მაისის რაიონს – დიდუბის რაიონი და საქარხნო რაიონს – სამგორის რა-

¹⁹ აღსანიშნავია, რომ იმ ეტაპზე ლენინის რაიონისთვის (ნაძალადევი) სახელი არ გადაურქმევიათ.

იონი²⁰. ბრძანებულებამდე აღნიშნული ცვლილებები მოიწონეს რაიონული საბჭოების სესიებმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. ბრძანებულებაში ეს ცვლილებები დასაბუთებული იყო „საზოგადოებრივი აზრის, სტუდენტი ახალგაზრდობის და მშრომელთა წინადადებების“ მხარდაჭერით (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 262).

იმავე დღეს პრეზიდიუმმა მიიღო კიდევ ერთი ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც აღდგა ქ. მაიაკოვსკის ძველი სახელწოდება – „ბაღდათი“, აგრეთვე სახელი გადაერქვა ზოგიერთ სოფელსა და სასოფლო საბჭოს: ვანის რაიონის სოფ. კიროვი – სოფ. „სალომინაო“, ლაგოდეხის რაიონის სოფ. ორჯონიკიძეს – სოფ. „გიორგეთი“, ამავე რაიონის სოფ. ცოდნა – სოფ. „მანიმი“, ონის რაიონის სოფ. ანკარა – სოფ. „ქრისტესი“, ხობის რაიონის სოფ. ალიონი – სოფ. „ზემო ქვალონი“, ხონის რაიონის სოფ. წითელვარსკვლავი – სოფ. „საწულუკიძეო“ და სხვა. გადაწყვეტილება ამ შემთხვევაშიც „საზოგადოებრივი აზრისა და მშრომელთა წინადადებების“ მხარდაჭერით აიხსნებოდა (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს... 1990ბ: 7-8).

1990 წლის 28 აგვისტოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც უზენაესი საბჭოს არჩევნების გამო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვა დროებით შეწყდა 1990 წლის 1 სექტემბრიდან 1991 წლის 1 იანვრამდე (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2874, ფურც. 22).

მომდევნო დღეს, 1990 წლის 29 აგვისტოს თბილისის ცენტრიდან ლენინის ძეგლი აიღეს, რაც საქართველოში ტოპონიმების სფეროში „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ მანამდე ხელშეუხებელი კულტის დანგრევასაც ნიშნავდა, მალევე მისი სახელის მატარებელი გეოგრაფიული ობიექტებიც განსაბჭოების პროცესში ჩადგა.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში მორიგი გარდამტეხი მოვლენა მოხდა – მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდა, ხელისუფლების სათავეში მოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. ეროვნულმა ხელისუფლებამ, რომელმაც გეზი სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისკენ აიღო, შესაბამისად ტოპონიმების განსაბჭოების პროცესიც თავის ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა. მეორე რესპუბლიკის პერიოდში (1990

²⁰ 1931 წლის 27 დეკემბერს ქ. თბილისში შეიქმნა ოთხი რაიონული საბჭოს აღმასკომი: ლენინის სახელობის (პირველი), სტალინის სახელობის (მეორე), 26 კომისრის სახელობის (მესამე) და ორჯონიკიძის სახელობის (მეოთხე). 1935 წლის 25 იანვარს შეიქმნა კიროვის სახელობის (მეხუთე) რაიონული საბჭოს აღმასკომი (26 კომისრისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების ტერიტორიის ბაზაზე). 1939 წლის 11 ივლისს შეიქმნა ლ. ბერიასა და ვ. მოლოტოვის სახელობის ორი რაიონული საბჭოს აღმასკომი. 1973 წლის 10 აპრილს შეიქმნა საქარხნო რაიონული საბჭოს აღმასკომი (სცსა, ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 266).

წლის 14 ნოემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე) ლენინგორს ახალგორი ეწოდა, ზნაურს – ყორნისი, წითელი წყაროს – დედოფლისწყარო, ბოგდანო-ვკას – ნინოწმინდა და სხვა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ტოპონიმების განსაბჭოება საქართველოში დაიწყო საბჭოთა კავშირში მიმდინარე „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პერიოდში, რაც რა თქმა უნდა პასუხობდა ქართველი ერის დიდი ხნის სურვილს – დაბრუნებოდა იმ მდგომარეობას, რომელიც ამ მხრივ არსებობდა ქვეყნის ოკუპაციისა და ფაქტობრივ ანექსიამდე. როგორც ტოპონიმების, ისევე ზოგადად ქვეყნის განსაბჭოება და გათავისუფლება იყო 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გააქტიურებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი, რაც დიდწილად მიღწეულ იქნა. ტოპონიმების განსაბჭოება აგრეთვე ატარებდა დაპყრობილი ქვეყნის დეკოლონიზაციის ხასიათსაც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მეორე რესპუბლიკის პერიოდში ტოპონიმების განსაბჭოების პროცესი არ დასრულებულა, რაც უპირველეს ყოვლისა უნდა აიხსნას ამ რესპუბლიკის ხელისუფლების ძალადობრივად დამხობით.

ტოპონიმების განსაბჭოება დღემდე დასრულებული არ არის. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფელ კიროვს „ახალდარჩელი“ სულ ახლახანს, 2025 წლის 17 სექტემბერს ეწოდა. ონის მუნიციპალიტეტის ოკუპირებულ ნაწილში დღემდე არსებობს სოფელი კიროვი. საბჭოთა სახელს დღემდე ატარებს რამდენიმე დასახლება, მათ შორის დედაქალაქის ქუჩები. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სახელთა შეცვლისა, კოლექტიურ მესხიერებასა და ყოველდღიურ კომუნიკაციაში არსებობას განაგრძობენ ძველი სახელები (მაგალითად, „პლეხანოვის ქუჩა“, „კოლმეურნეობის მოედანი“, „ელიავას ქუჩა“, „პეროვსკაიას ქუჩა“), რაც ადასტურებს, რომ ტოპონიმთა სრული განსაბჭოება ჯერ კიდევ გადასაჭრელ პრობლემად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2811, ფურც. 151, 155;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2833, ფურც. 112-136;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2890, ფურც. 133;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2866, ფურც. 15-37;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2874, ფურც. 22;

- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №1165, აღწერა №8, საქმე №2867, ფურც. 262-310;
- **„თამარობა“ ქუთაისში 1989:** „თამარობა“ ქუთაისში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, №57 (11287), გვ. 2;
- **არასანქცირებული მიტინგი... 1989:** არასანქცირებული მიტინგი ქ. ცხაკაიაში, გაზ. „კოლხეთი“, 1989, №53 (7494), გვ. 1-2;
- **ბუნაშვილი 1989:** ბუნაშვილი მარიანა. სოფლის ყრილობამ ასე გადაწყვიტა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, №74 (11404), გვ. 3;
- **გეგეჭორის სახალხო დეპუტატთა... 1989:** გეგეჭორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, გაზ. „შრომის დროშა“, 1989, №60 (7017), გვ. 1;
- **გორგანელი 1989:** გორგანელი ვახტანგ. დავარქვათ დავით გურამიშვილის სახელი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №10 (2686), 1989, გვ. 12;
- **დავუბრუნოთ ვალი ისტორიას 1989:** დავუბრუნოთ ვალი ისტორიას (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ კომისიაში), გაზ. „კომუნისტი“, 1989, №110 (20451), გვ. 3;
- **დიდი საქმის დასაწყისი 1988:** დიდი საქმის დასაწყისი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №16 (2640), 1988, გვ. 2;
- **თბილისში ყაზბეგის ძეგლი... 1989:** თბილისში ყაზბეგის ძეგლი არ უნდა იდგეს?, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №4 (2680), 1989, გვ. 6;
- **ივინა 1988:** ივინა ნ.. რისთვის ვიბრუნებთ ძველ სახელებს? გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №16 (2640), 1988, გვ. 2;
- **კეკელიძე 1988:** კეკელიძე რობერტ. სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №37 (2661), 1988, გვ. 14;
- **კიკნაძე 1988:** კიკნაძე ვასილ, სახელწოდება ისტორიაა. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №36 (2660), 1988, გვ. 2;
- **კუჭუხიძე 1989:** კუჭუხიძე ნ.. ჩვენი მაიაკოვსკი! მხოლოდ სწორი პოზიცია, გაზ. „წითელი დროშა“, 1989, №76 (5948), გვ. 3;
- **მახარაძის რაიონის... 1989:** მახარაძის რაიონის, ქალაქ მახარაძისა და მახარაძის რკინიგზის სადგურისათვის სახელების შეცვლისა და ძველი, ისტორიული სახელის – ოზურგეთის დაბრუნების შესახებ. გაზ. „ლენინის დროშა“, 1989, №60 (7961), გვ. 1;
- **მტკიცე დისციპლინა... 1989:** მტკიცე დისციპლინა – მორიგ წარმატებათა საფუძველი, კამათი საქართველოს კომპარტიის გეგეჭორის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. რ. ნ. ნაჭყებიას მოხსენების გამო. გაზ. „შრომის დროშა“, 1989, №60 (7017), გვ. 2;
- **ნანავა 1989:** ნანავა გენადი. მარადისობის კანონით. გაზ. „შრომის დროშა“, 1989, №61 (7018), გვ. 3;
- **ოზურგეთის დაბრუნება 1989:** ოზურგეთის დაბრუნება. გაზ. „ლენინის დროშა“, 1989, №58 (7959), გვ. 1;
- **რედაქციისაგან 1988:** რედაქციისაგან. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №16 (2640), 1988, გვ. 2;
- **რუხაია 1988:** რუხაია გრიგოლ. იქნებ ასე სჯობდეს?. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №46 (2670), 1988, გვ. 10;
- **რუხაია 1989:** გრიგოლ რუხაიას წერილი რუბრიკაში „წერილები ახკომს“. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, №56 (11286), გვ. 2;

- **სამსონია 1988:** სამსონია ალექსანდრე. „მტირალა“ „მტირალად“ დარჩა. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №36 (2660), 1988, გვ. 2;
- **სანიკიძე 1987:** სანიკიძე ლევან. დედაენას და დედაისტორიას ნურას წავართმევთ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №26 (2598), 1987, გვ. 12;
- **სანიკიძე 1988:** სანიკიძე ლევან. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №30 (2654), 1988, გვ. 6;
- **სანიკიძე 1989:** სანიკიძე ლევან. „პოლიტიკურ სამაროვანთა“ გამო. გაზ. „სახალხო განათლება“, № 12 (3329), 1989;
- **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს... 1990:** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რაიონისა და ქალაქის სახელწოდების აღდგენის, ზოგიერთი სასოფლო საბჭოსა და სოფლისათვის სახელის გადარქმევის შესახებ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990, №13 (ივნისი), საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამოცემა, თბილისი, გვ. 7-8;
- **საქართველოს სსრ... 1987:** საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მეხუთე გამოცემა, გადამუშავებული და შევსებული, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987;
- **სახალხო დეპუტატთა... 1989:** სახალხო რეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, მშობლიურ რაიონს თავისი ისტორიული სახელი – სენაკი“. გაზ. „კოლხეთი“, 1989, №57 (7498), გვ. 1;
- **ჩვენი მოსაზრებანი 1988:** ჩვენი მოსაზრება. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №36 (2660), 1988, გვ. 2;
- **ცხაკაია 1988:** ცხაკაია გიორგი. ბატონ კონსტანტინეს სიტყვები. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №50 (2674), 1988, გვ. 6;
- **წერილები ახკომს 1989:** გრიგოლ რუხაიას, მზია მებალიშვილის წერილები რუბრიკაში „წერილები ახკომს“. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, №56 (11286), გვ. 6;
- **წიფურია 1989:** ბორის წიფურიას წერილი რუბრიკაში „იწონებენ, მხარს გვიჭერენ, გვილოცავენ“. გაზ. „კოლხეთი“, 1989, №58 (7499), გვ. 1;
- **ჭოლოკავა 1989:** ჭოლოკავა ნოდარ. თამარის გამზირი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №4 (2680), 1989, გვ. 6;
- **ჯოხაძე 1988:** ჯოხაძე დავით. „ელენე ახვლედიანის აღმართი“ – კარგად ჟღერს!. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №50 (2674), 1988, გვ. 6;
- **Azaryahu 1996:** Azaryahu Maoz. The power of commemorative street names, Environment and Planning D: Society and Space 1996, volume 14, გვ. 311-330;
- **Nora 1989:** Nora Pierre. Between Memory and History: Les Lieux de Mémoire, translated by Marc Roudebush, Representations, No. 26, Special Issue: Memory and Counter-Memory (Spring, 1989), გვ. 7-24;
- **Halbwachs 1992:** Halbwachs Maurice. On Collective Memory, edited, translated, and with an Introduction by Lewis A. Coser, The University of Chicago Press, Chicago and London, 1992;
- **Басиладшвили 1986:** Басиладшвили Олег. «Наедине со всеми», Беседу вел А. Васинский, გაზ. «Известия», №1 (21443), 1986, გვ. 3;
- **Васинский 1985:** Васинский Александр. Арматурная, Чугуевская и др., გაზ. «Известия», №156 (21233), 1985, გვ. 6;

- **Васинский 1985ბ:** Васинский Александр. Еще раз об Арматурной, Чугуевской и др., გაბ. «Известия», №223 (21300), 1985, გვ. 3;
- **Васинский 1986ა:** Васинский Александр. Посадская против Арматурной, გაბ. «Известия», №108 (21550), 1986, გვ. 3;
- **Васинский 1986ბ:** Васинский Александр. Возвращение Остоженки, Послесловие к решению Моссовета, გაბ. «Известия», №231 (21673), 1986, გვ. 3;
- **Всесоюзная... 1989:** Всесоюзная научно-практическая конференция “Исторические Названия – Памятники Культуры”, 17-20 апреля 1989 г., тезисы докладов и сообщений, ответственный редактор – В. П. Нерознак, Советский фонд культуры, Академия наук СССР, Москва, 1989;
- **Демьянов, Рыженко 2017:** К. В. Демьянов, В. Г. Рыженко. Идеология, топонимика, политика памяти: о массовом переименовании городов в СССР, Вестник Омского университета, Серия «Исторические науки», 2017, № 4 (16), გვ. 153-160;
- **Лихачёв, Гамкрелидзе... 1988:** Лихачёв Д., Гамкрелидзе Т.. В. Нерознак, Исторические названия тоже памятники культуры, გაბ. «Известия», №217 (22389), 1988, გვ. 3;
- **Память истории... 1985:** Память истории. გაბ. «Известия», №195 (21272), 1985, გვ. 3;
- **Ревенская 1989:** Ревенская Н. А.. Исторические названия – памятники культуры, «Русская речь», № 5 (сентябрь-октябрь), 1989, ჟურნ. «Наука», 129-136;
- **Указ... 1957:** Указ Президиума Верховного Совета СССР об упорядочении дела присвоения имён государственных и общественных деятелей краям, областям, районам, а также городам и другим населённым пунктам, предприятиям, колхозам, учреждениям и организациям, «Под знаменем Ленина», №183 (5584), 1957, გვ. 1. ხელმისაწვდომია <https://elib.uraic.ru/bitstream/123456789/17301/1/0021938.pdf> ბოლოს დამოწმებულია 14.02.2026;
- **Мы все обнаружили... 2018:** Мы все обнаружили для себя заново нашу Родину, 2018, 22 იანვარი, ხელმისაწვდომია <https://www.grad-petrov.ru/broadcast/my-vse-obnaruzhili-dlya-sebya-zanovo-nashu-rodinu/> ბოლოს დამოწმებულია 14.02.2026;
- **Кардопольцева, Ушакова 2023:** Кардопольцева Елена, Ушакова Елена. 36 лет назад Ижевск, на 900 дней ставший Устиновым, вернул свое историческое имя, 2023, 19 ივნისი, ხელმისაწვდომია <https://www.izh.kp.ru/daily/26693.5/3717421/> ბოლოს დამოწმებულია 14.02.2026;
- **Хроника СФК 1988:** Хроника СФК: Сохранять, осваивать, приумножать, «Наше Наследие», I, 1988, გვ. 11-12; ხელმისაწვდომია https://imwerden.de/pdf/nashe_nasledie_001_1988__ocr.pdf ბოლოს დამოწმებულია 14.02.2026.

Giorgi Arkania

Ph.D Program in History

Invited lecturer, TSU

Researcher at “The Centre For Contemporary History”

Assistant Professor at Caucasus University

Giorgi.arkania@tsu.ge

DE-SOVIETIZATION OF TOPONYMS IN GEORGIA (1987-1991)

(SUMMARY)

For totalitarian systems such as the Soviet Union, the control of all symbolic and social spaces – including toponymy – is essential. For such regimes, place names carry explicit political significance: they function as instruments of representation and as symbols through which regime ideology is embedded and normalized within society. In the Soviet Union, and consequently in Georgia – incorporated into the Soviet state through occupation and de facto annexation – the naming and renaming of geographical entities constituted a mechanism of ideological control. The topic under investigation is particularly salient because toponyms vividly reflect the interplay of collective memory, identity, and power. They serve as tools through which these forces are articulated, while their transformation signals deeper structural changes within both the state and society.

In the second half of the 1980s, the Soviet Union entered a period of profound transformation commonly associated with the policy of perestroika. Following the ascent of Mikhail Gorbachev to the leadership of the Communist Party, a series of reforms was initiated with the stated objective of renewing and prolonging the existence of an empire facing systemic crisis. Socio-economic restructuring was accompanied by processes of political and cultural liberalization, encapsulated in the doctrine of glasnost, as well as by efforts to normalize relations with Western states. Numerous aspects of public and political life were revisited and reassessed. Dissident and national liberation movements, previously suppressed or marginalized, re-emerged into the public sphere. The processes of perestroika and glasnost directly affected toponymic practices, as they catalyzed a gradual rejection of Soviet-era naming conventions and encouraged the restoration of historical place names.

The primary objective of this research is to examine how the process of toponymic change was initiated in the Soviet Union and in Georgia, how it unfolded, and which actors played decisive roles in shaping it. To what extent was the pro-

cess deliberate and systematic? How did the population respond? Why did these transformations begin prior to the restoration of Georgia's state independence? Was the process driven predominantly "from above" by political authorities, or "from below" by societal pressures?

The chronological framework of the study extends from 1987 – marking the onset of the active phase of perestroika – to 1991, the year in which Georgia restored its state independence.

This research offers a measure of scholarly novelty, as the issue of toponymic de-Sovietization in Georgia has not, to date, received sustained and systematic academic attention. The study therefore seeks to address and partially fill this gap.

The findings demonstrate that the de-Sovietization of toponyms in Georgia during the perestroika period corresponded to a longstanding societal aspiration: the symbolic and cultural restoration of conditions that had existed prior to Soviet occupation and de facto annexation. Both the transformation of toponymy and the broader processes of de-Sovietization and political emancipation formed integral components of the national liberation movement that intensified in the late 1980s. In this sense, toponymic change also embodied characteristics of decolonization within a formerly subordinated political space.

Despite these developments, the process of toponymic de-Sovietization remains incomplete. This is evidenced both by the continued official presence of certain Soviet-era place names and by the persistence of Soviet nomenclature within public memory, even where such names have been formally abolished.